კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ლაშა აჩელაშვილი

დემოკრატიული გარდაქმნების ტალღა ერაყსა და ეგვიპტეში

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მაია კაპანაძე

თბილისი 2019

ანოტაცია

ერაყსა და ეგვიპტეში ბოლო რამდენიმე წელია მეტად საინტერესო მოვლენები ვითარდება. დიდი ხნის მანძილზე ამ ორ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმები არსებობდნენ, რომლებიც დემოკრატიის განვითერიბისათს სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა. ავტორიტარული რეჟიმების შეცვლამ ამ ქვეყნებში, სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ ვითარებაში მოხდა.

ერაყში ავტორიტარული რეჟიმის დასრულება აშშ-სა და მის მიერ შექმნოლი კოალიციის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად მოხდა. აღსანიშნავია, რომ ერაყში ავტორიტარიზმის დასრულების მიუხედავად დემოკრატიული პროცესები ამ ქვეყანაში არ განვითარებულა.

ერვიპტეც ახლო აღმოსავლეთის იმ ქვეყნებს განეკუტვნება, სადაც ავტორიტარიზმი საკმაოდ ხანს იყო გაბატონებული. განსვავებით ერაყისა, ეგვიპტეში ძველი რეჟიმის დემონტაჟს ხელი „არაბული გაზაფხულის“ შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა შეუწყო. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთაც იყო მოლოდინები რომ ამ ქვეყანაში ავტორიტარიზმის დასასრულს დემოკრატიის ტალღა მოყვებოდა, მაგრამ მოლოდინი მოლოდინად რჩება, ნანატრი დემოკტარია „არაბულმა გაზაფხულმა“ ამ ქვეყანას ვერ მოუტანა.

Annotation

The wave of democratic transformations in Iraq and Egypt

Last few years there have been very interesting phenomenon happening in Egypt and Iraq. For many years they had authoritarian regime, which was a serious obstacle to democracy. In these two countries transition from authoritarianism to other regimes took place in different times and circumstances

Breakdown of authoritarian regime in Iraq was the result of the military operations carried out by the USA and its coalition. Ever though in Iraq authoritarianism was defeated, democratic process was not implemented.

Egypt is one of the Near East countries which had been under an authoritarian regime for many years. Unlike Iraq, in Egypt old regime was defeated by the Arab spring. However these actions did not led Egypt to democracy as it was expected.

Lasha AchelaSvili

სარჩევი

შესავალი 5

1. **თავი ერაყისა და ეგვიპტის პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისას** 11

   1.1. ერაყისა და ეგვიპტის ისტორიული ასპექტები 11

   1.2. ერაყისა და ეგვიპტის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და კონფენსიებს შორის დაპირისპირება ხელისუფლებისთვის 18

   1.3. მონარქიების დასასრული და სეკულარული რესპუბლიკები ერაყსა და ეგვიპტეში 25

2. **თავი ავტორიტარული რეჟიმების დამყარების პოლიტიკური საფუძვლები** 33

   2.1. ავტორიტარიზმი და მისი შედეგები ერაყისა და ეგვიპტის განვითარებაზე ……..33

   2.2. ეგვიპტე ერთიან არაბულ სახელმწიფოს შემადგენლობაში 44

   2.3. ისლამისტების გააქტიურება ერაყსა და ეგვიპტეში 48

3. **თავი ერაყსა და ეგვიპტეში ავტორიტარიზმის დასრულების მიზეზები და დამოუკიდებელი პროცესების განვითარება** 54

   3.1. ერაყი-აშშ-ს ურთიერთობების დაძაბვა და 2003 წლის ომი..... 54

   3.2. ავტორიტარული რეჟიმის დასრულების შემდგომ ერაყში განვითარებული დემოკრატიული პროცესები..... 61

   3.3. არაბული გაზაფხულის შედეგები ეგვიპტის დემოკრატიზაციის გზაზე 67

დასკვნა 75

გამოყენებული ლიტერატურა 77

შესავალი

დღემდე მსოფლიო ქვეყნების ყურადღებიუს ცენტრშია ერაყსა და ეგვიპტეში მიმდინარე შიდა პოლიტიკური მოვლენები. ხშირად იმის კითხვა, რა შეიცვალა ერაყში მნიშვნელკოვნად სადამ ჰუსაინის რეჟიმის შემდგომ და ეგვიპტეში მუბარაქის მმართველობის დასრულებისას. ამ ყველაფერს წინ უძღოდა ათწლეულების განმავლობაში დიქტატორული მმართველობები, რომლებიც ერაყის მაგალითზე გარე ძალების ჩარევით მოხდა სისტემის ცვლილება, ხოლო ეგვიპტეში 2011 წლის რევოლუციური გამოსვლებით შიცვალა მთავრობა. ამ ქვეუნებში მიმდინარე შიდა პოლიტიკური პროცესები ჯერ ისევ აქტუალურია როგორც რეგიონისათვის, ისე რეგიონს გარეთაც.

თემის აქტუალობა. ერაყსა და ეგვიპტეში მმართველი რეჟიმები სხვადასხვა გზით შეიცვალა. ერაყში ეს მოხდა აშშ-ს სამხედრო ჩარევით. ეგვიპტეში კი არაბულმა გაზაფხულმა გამოიწვია სისტემის დემონტაჟი.

ამის შემდგომი მოლოდინი იყო ის, რომ ამ ქვეყნებში დიქტატორული რეჟიმების დამხობის შემდგომ, დემოკრატიული პროცესები უნდა განვითარებულიყო. რამდენად გამართლდა ეს მოლოდინი ჯერ კიდევ საკამათოა?

საკვლევი კითხვები:

- რამ განაპირობა დიქტატორული რეჟიმების დამყარება ერასყსა და ეგვიპტეში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ?
- ამ ქვეყნებში არსებული მმართველობის სისტემის შეცვლის შემდგომ, გაჩნდა თუ არა ამ ქვეყნებში რეალური შანსი შიდაპოლიტიკური ვითარების შესაცვლელად?
- რამდენად განვითარდა დემოკრატიული პროცესები ერაყში ჰუსეინის მმართველობის შემდგომ?
- როგორი დემოკრატიული პროცესები ვითარდება ეგვიპტეში „არაბული გაზაფხულის“ შედეგად შემდგომ პერიოდში?

ჰიპოთეზა - დიქტატორული რეჟიმების დამყარება ეარყსა და ეგვიპტეში გასულ საუკუნეში ზოგადად რეგიონის შიგნით მიმდინარე პროცესების შემდეგ მოხდა. ერაყში არსებული მმართველობის სისტემის შეცვლის შემდგომ შიდაპოლიტიკური პროცესები დემოკრატიუყლი გზით ვერ წარიმართა. ქვეყანა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. მმართევლობის სისტემის შეცვლით არც ეგვიპტეს გადაუარა დემოკრატიის ტალღამ. მოლოდინი აქაც მოლოდინად დარჩა.

თემის მიზნები და ამოცანები. ჩვენი კვლევის მიზანია შევგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ის მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო ამ ორ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმების ჩამოყალიბებას და მათ გამყარებას, ნაშრომში წინა პლანზე წამოვწიეთ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ავტორიტარული მმართველობის სისტების შემდგომ განვითარებული მოვლენები. კონკრეთულად, ამ ქვეყნწბში არსებული რეჟიმების დემონტაჟის შემდგომ რამდენად მზად აღმოჩბნდნენ ეს ქვეყბენი დემოკრეატიისათვის და როგორ განვითარდა დემოკრატიუყლი პროცესები.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული გვაქვს შემდეგი მეთოდოლოგია.

1. „პოლიტიკური რეალიზმის " თეორია (,,prisoner's dilemma"), რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო.

2. „ძალთა ბალანსის" თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან.

კვლევის მეთოდები. თემის დამუშავების დროს გამოყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები:

- ინტერდისციპლინარული მეთოდი
- ისტორიულ-აღწერილობითი
- არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა
- ემპირიული კვლევის მეთოდები - ნარატიული ანალიზი,

• კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენი შესაძლებლობებიდან და თემის გარშემო არსებულ მასალებზე წვდომიდან გამომდინარე, შევქმენით აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგებათ ერაყისა და ეგვიპტის ბოლოდროინდელი პოლიტიკურიმოვლენებით დაინტერესებულ მკითხველსა თუ მკვლევარებს. ის შესაძლოა ასევე გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებშიც.

კვლევის შედეგების განხილვა. შევეცადეთ სხვადასხვა სახის ფაქტოლოგიური მასალისა და გარკვეული მეცნიერული ნაშრომების შეჯერებს შედეგად განგვეხილა და ამავდროულად გაგვეანალიზებინა ერაყსა და ეგვიპტეში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, ნაშრომში მნიშვნელოვან ადგილს ვუთმობთ ისეთ აქტუალურ საკითებს, როგორიცაა ის თუ რამდენად განვითარდა დემოკრატიული პროცესები ერაყსა და ეგვიპტეში და ამავე დროს აღმოჩნდნენ თუ არა მზად ეს ქვეყნები დემოკრატიისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. ნაშრომზე მუშაობისას ჩვენი საკვლევი თემის გარშემო არსებული არაერთი სამეცნიერო წერილი, თუ ცალკეული მონოგრაფია წავიკითხეთ. ამას გარდა შეძლებისდაგვარად გავეცანიტ ჩვენთვის საჭირო პირველ წყაროებსაც, რომელთა შესწავლამ და გაანალიზებამ საშუალება მოგვცა გარკვეული მნიშვნელოვანი საკიტხები, რომლბიც ჩვენი საკვლევი თემის ძირითადი ამოცანაა უკეთ განგვეხილა და სათანადო დასკვნებიც გამოგვეტანა. ერაყისა და ეგვიპტის შესახებ ქართულ ენაზე ბევრი სამეცნიერო ნაშრომი არ არსებობს. სამაგიეროდ ამ ქვეყნებზე არაერთი კვლევაა გაკეთებული უცხოელი ევტორების მიერ.

მოკლედ მიმოვიხილავთ ძირითად ნაშრომებს, რომლებიც გამოვიყენეთ ჩვენი სამაგისტრო ნაშომზე მუშაობისას, რათა სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნების შესაბამისად მეტნაკლებად სრულყოფილი კვლევა ჩაგვეტარებინა.

ერაყისა და ეგვიპტის ისტორიის, მათი სახელმწიფოებად ჩამოყალიბებასა და შემდგომ ამ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ნ. გელოვანის ნაშრომმა „თანამედროვე არაბული ქვეყნები“.[1]

ჩვენთვის საინტერესო საკითხები ერაყისა და ეგვიპტის შესახებ, ახალი და უახლესი პერიოდისა საკმაოდ ვრცლადაა განხილული სამი ქართველი პროფესორის ნ. გელოვანის, გ. სანიკიძის, გ. ალასანიას ერთობლივ ნაშრომში.[2] ამ წიგნში საინტერესოდაა განხილული ერაყსა და ეგვიპტეში ავტორიტარული რეჟიმების დამყარების მიხეხები და ასევე ის შედეგებიც, რაც ავტორიტარიზმმა ამ ორ ქვეყანას მოუტანა.

აღნუშნული მოვლენები ახლებურადაა გაშუქებული რ. გაჩეჩილაძის ახლად გამოცემულ მონოგრაფიაში „ახლო აღმოსავლეთი“.[3] კონკრეტულად ამ ნაშრომში განხილულია არაბული გაზაფხულის შედეგად ამ ქვეყნებში განვითარებული მოვლენები.

შ. კიკალიშვილი „აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ“. შ. კიკალეიშვილის აღნიშნული ნაშრომი „აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ“.[4] დაგვეხმარა ერაყში გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად. კერძოდ კი ერაყის მმართველის ს. ჰუსეინისა და აშშ-ს ურთიერთობების უკეთ შესწავლის მიზეზებში. მასში ვრცლადაა განხილული ს. ჰუსეინისა და სშშ-ს პოლიტიკურ ხედვებში

[1] ნ. გელოვანი ნაშრომმა „თანამედროვე არაბული ქვეყნები“ (თბილისი 2008).
[2] ნ. გელოვანი, გ. სანიკიძი, გ. ალასანია „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“ (თბილისი 2011).
[3] რ. გაჩეჩილაძე „ახლო აღმოსავლეთი“ (ტომი II თბილისი 2019).
[4] შ. კიკალიშვილი „აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ“. (თბილისი 2015).

ჩამოყალიბებული განსხვავებები, რაც ერაყის მმართველი კრახამდე მიიყვანა.

სტეფან ჰამფრეის ამ ნაშრომში,[5] კარგადაა შესწავლილი ავტორიტარული რეჟიმის დამყარების მიზეზები ეგვიპტეში და მისი ასახვა ამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

რ. ჰოლის თავის ერთე-ერთ კვლევაში[6] „No friend of democratization: Europe's role in the genesis of the 'Arab Spring", ასახავს არაბული გაზაფხულის განვითარების მიზეზებზს და ამავე დროს მასში ხაზგასმულია ის ფაქტობრივი გარემოება, თუ რამდენად შეუწყო ხელი ევროპულმა ქვეყნებმა, იმ პროცესებს არაბულ ქვეყნებში, რასაც „არაბული გაზაფხული" ჰქვია.

ნაშრომზე მუშაობისას ვიყენებთ ინტერნეთ საიტებზე არსებულ ინფორმაციასაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაშუქოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი გარკვეული საკითხები.

_,,ერაყი განვითარების ახალი ეტაპის პერსპექტივის წინაშე'', პოლიტფორუმი, 2011. http://politforumi.com/geo/953/erayi-ganvitarebis-axali-etapis-perspeqtivis-cinashe.html

რ. თვალავაძე. „ერაყის ომი-ჩავარდნილი მისიის მიზეზები", POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/10/iraq-war-failed-mission/

რ. თვალავაძე. „ბუშის დოქტრინა მოქმედებაში – ერაყის ომი – დასაწყისი", POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

„კრიზისი ერაყში". ამერიკის ხმა. 2014. https://www.amerikiskhma.com/a/iraq_crisis_world/1938151.html

[5] სტეფან ჰამფრეი „Islam and Political Values in Egypt and Syria",
[6] რ. ჰოლი კვლევაში „No friend of democratization: Europe's role in the genesis of the 'Arab Spring",

ლ. ნემსაძე „ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობის ზღურბლზე“. საქართველო და მსოფლიო. 2016. http://geworld.ge/ge/ერაყის-ქურთისტანი-დამოუკ/

ა. ზარქუა „ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და მოსალოდენლი დესტაბილიზაცია ერაყში“ 2017. https://on.ge/story/12780-ქურთების-ბრძოლა-დამოუკიდებლობისთვის-და-მოსალოდენლი-დესტაბილიზაცია-ერაყში

,,ერაყი განვითარების ახალი ეტაპის პერსპექტივის წინაშე'', პოლიტფორუმი, 2011. http://politforumi.com/geo/953/erayi-ganvitarebis-axali-etapis-perspeqtivis-cinashe.html

ნ. ჩარკვიანი. „ეგვიპტე - დაუსრულებელი რევოლუცია“. თავისუფალი პარლამენტი. 2013. http://freeparliament.blogspot.com/2013/07/normal-0-false-false-false-en-us-ja-x.html

“Egyptian president may seek to break two-term limit, petition suggests”. The Guardian. 2019. https://www.theguardian.com/world/2018/aug/01/petition-signals-egyptian-presidents-abdel-fatah-al-sisi-intention-to-seek-third-term

თავი I ერაყისა და ეგვიპტის პოლიტიკური განვითარება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისას

1.1 ერაყისა და ეგვიპტის ისტორიული ასპექტები

დღევანდელი ერაყი არის ძველი მესოპოტამიის ტერიტორიაზე. მისი სახელი მომდინარეობს ძველი სემიტური ურუქისაგან. ასე ერქვა შუმერულ-აქადურ ქალაქს, რომლის მნიშვნელობაა „მდინარეთა შუა“. მისი ძველი სახელია მესოპოტამია, რაც ბერძნულად ასევე “შუამდინარეთს” ნიშნავს ძვ.წ.VI ს-ში მესოპოტამია შევიდა სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში,ხოლო მისი დაცემის შემდეგ, ძვ.წ. ალექსანდრე დიდის იმპერიის ნაწილი გახდა,მოგვიანებით,ქვეყანა შევიდა რომის,მისი დაცემის შემდეგ კი-ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში.მერე კვლავ სპარსელთა ბატონობის ქვეშ მოექცა,ხოლო VII ს-ში (633-642) არაბებმა დაიმორჩილეს.762 წელს დაარსდა ბაღდადი,აბასიანთა დედაქალაქი. VIII-IX სს-ში ერაყი იყო მუსლიმური სამყაროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური,პოლიტიკური,კულტურული და რელიგიური ცენტრი.ამ ქვეყანაში მდებარეობს შიიტების წმინდა ქალაქები: ნაჯაფი და ქარბალა.ნაჯაფში დასაფლავებულია მეოთხე მართლომორწმუნე ხალიფა ალი,ხოლო ქარბალაში ალის შვილი ჰუსეინი. ეს ამ ქვეყანას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთელი შიიტური სამყაროსათვის. 1258 წელს დაიპყრეს მონღოლებმა. ქვეყანა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო 1534 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე. XIX საუკუნიდან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები - საფრანგეთი, ბრიტანეთი, გერმანია - დიდ ინტერესს იჩენდნენ ერაყისადმი, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონისადმი.[7]

[7] გელოვანი ნ. შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი 2009. გვ. 228-236

ინგლისისადმი მზარდი წინააღმდეგობის ვითარებაში, ჯერ კიდევ 1918-1919 წლებში ჩამოყალიბდა სამი მნიშვნელოვანი საიდუმლო საზოგადოება: ისლამური გამოღვიძების ლიგა ნაჯაფში, მუსლიმური ეროვნული ლიგა, 1919 წლის თებერვალში ბაღდადში შეიქმნა მესამე ორგანიზაცია - დამოუკიდებლობის მცველები, რომელიც აერთიანებდა ერაყის შიიტ ვაჭრებს, სუნიტ მასწავლებლებს, სამოქალაქო მოსამსახურეებს, სუნიტ და შიიტ ულემებს და ერაყის ოფიცრებს, მაგრამ საზოგადოების წევრების უმრვლესობა მაინც შიიტი იყო და მას ხელმძღვანელობდა შიიტი მუჯთაჰიდი მუჰამად ას-სადრი.

1920 წლის ოქტომბერში ინგლისის უმაღლესმა კომისარმა არნოლდ უილსონა ერყში ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა, ხოლო 1921 წლის 23 აგვისტოს ინგლისმა მიაღწია ერაყის სამეფოს გამოცხადებას. ამავე დღეს მოხდა მეფის ფაუსალ იბნ ჰუსაინის (1921-1933) კორონაცია. ყველა სამთავრობო უწყებაში დაინიშნენ ინგლისელი მრჩევლები. 1922 წლის 10 ოქტომბერს ბაღდადში დაიდო ინგლის-ერაყის ხელშეკრულება 20 წლის ვადით და ფაქტობრივად ოფიციალურად გაფორმდა ინგლისის მანდატი ერაყზე. შეიარაღებულ ძალებზე, ფინანსებზე, ქვეყნის მთელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე კონტროლი გადავიდა ინგლისის უმაღლესი კომისრის ხელში. მძლავრი საპროტესო მოძრაობების გამო, 1923 წლის შეთანხმებით, ინგლისი იძულებული გახდა 4 წლამდე შეემცირებინა ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

1925 წელს მიიღეს ქვეყნის ორგანული კანონი, რომლითაც ერაყი მემკვიდრეობით კონსტიტუციურ მონარქიად გამოცხადდა,ორპალატიანი პარლამენტით. 1926 წლის 13 იანვარს დაიდო ინგლის-ერაყის ხელშეკრულება, რომელიც აგრძელებდა 1922 წლის ხელშეკრულების ვადას 1950 წლამდე, თუ ამ დრომდე ერაყი არ გახდებოდა ერთა ლიგის წევრი. 1930 წლის 30 ივნისს ლონდონში ერაყის პროინგლისურმა მოღვაწემ ნური ას-საიდმა, რომელიც მანამდე მთავრობას ხელმძღვანელობდა, ხელი მოაწერა ახალ ინგლის-ერაყის ხელშეკრულებას, 25 წლის ვადით. ამ

ხელშეკრულებით, რომელიც ძალაში შედიოდა ერთა ლიგაში ერაყის შესვლის მომენტიდან, ერაყი ცხადდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და ის დაკავშირებული იყო ინგლისთან „მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებით“.

1932 წელს ერაყი შევიდა ერთა ლიგაში. მანდატის გაუქმებიდან ოთხნახევარი წლის განმავლობაში ქვეყანაში შეიცვალა 8 მინისტრთა კაბინეტი და სამჯერ ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. 1933 წელს გარდაიცვალა მეფე ფაისალი და ტახტზე ავიდა მისი 21 წლის ვაჟი ღაზი იბნ ფაისალი ღაზი I -ის სახელით,რომელსაც ნაკლებად აინტერესებდა სახელმწიფო საქმეები. 1933 წლის 20 მარტს ჩამოყალიბდა „ნაციონალური ძმობის “ მთავრობა და პრემიერ-მინისტრი რაშიდ ალი ალ-ქაილანი გახდა. მეორე მსოფლიო ომს ერაყი მძიმე ეკონომიკური პრობლემებით და დაძაბული პოლიტიკური სიტუაციით შეხვდა.ომის დასაწყისშივე პრემიერმა ნური საიდმა გაწყვიტა ურთიერთობები გერმანიასთან.1940 წლის დასაწყისში, რაშიდ ალი ალ-კაილანი პრემიერი გახდა.სამწუხაროდ მან ბევრი არაფერი იცოდა ერაყის საზღვრებს გარეთ არსებულ სამყაროზე.თუ ყოფილი პრემიერი ნური საიდი „ზომიერებს“ ედგა სათავეში,რაშიდ ალი უკომპრომისო ნაციონალისტად წარმოდგა,რომელიც იმედოვნებდა გერმანული და იტალიური იარაღისა და ფულის გამოყენებას ანტიბრიტანული ნაციონალისტური მიზნების განსახორციელებლად. ბრიტანელებს კი მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ერაყზე ზეგავლენის შენარჩუნება. 31 მაისს რაშიდ ალი გაიქცა ირანში და ერაყის არმიამ ზავს მოაწერა ხელი. რაშიდ ალი შეეცადა მოლაპარაკებების დაწყებას ღერძის ქვეყნებთან თუმცა, ღერძის ქვეყნებს აღარ გამოუჩენიათ იდი ძალისხმევა ერაყში საკუთარი ინტერესების გასატარებლად და ომის დანარჩენი დროის მანძილზე ქვეყანაში შედარებითი პოლიტიკური მშვიდობა სუფევდა. ბრიტანელები არაპირდაპირი გზით აკონტროლებდნენ ეკონომიკას, არმიას, ბიუროკრატიას და განათლების სისტემას. ერაყმა ღერძის ქვეყნებს ომი გამოუცხადა 1943 წლის იანვარში და პირველი ახლოაღმოსავლური ქვეყანა

გახდა,რომელმაც გაერო-ს წევრობის უფლება მიიღო. ომის უკანასკნელ წლებში ქვეყნის ჩრდილოეთში დაიწყო ქურთების აჯანყება მოლა მუსთაფა ბარზანის მეთაურობით.ახალი რეჟიმის პირობებში უკიდურესად შემცირებულმა ერაყის არმიამ მინც მოახერხა აჯანყების ჩახშობა.[8]

ეგვიპტე მდებარეობს ორ კონტინენტზე - აფრიკის (ჩრდილო-აღმოსავლური) და აზიის (სამხრეთ-დასავლეთ). სამხრეთით ესაზღვრება სუდანი, დასავლეთით - ლიბია, აღმოსავლეთით - ისრაელი და პალესტინა. აღმოსავლეთით აკრავს მეწამული ზღვის წყლები, ჩრდილოეთით - ხმელთაშუა ზღვა. ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა საშუალებას აძლევს ქვეყანას აკონტროლოს სინას ნახევარკუნძული, რომელიც აერთებს აფრიკას აზიასთან. ეგვიპტის კონტროლის ქვეშაა აგრეთვე სუეცის არხი - ყველაზე მოკლე საღვაო გზა ინდოეთის ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვაში.

ეგვიპტის ისტორია იწყება დაახლ. 6000 წლის წინ. ფარაონთა მმართველობა გაგრძელდა ძვ. წ. 341 წლამდე, როცა ქვეყანა სპარსელებმა დაიპყრეს. ალექსანდრე მაკედონელმა გაამევა სპარსელები ძვ.წ. 332 წელს. ახალი მმართველი, რომელმაც დააარსა ქალაქი ალექსანდრია ძვ.წ 331წ. ცნეს ეგვიპტის სუვერენად. ქვეყნის ისტორიის ელინისტური პერიოდი გაგრძელდა პტოლემაიოსისა და მისი შთამომავლების დროს ძვ. წ. 31 წლამდე. ახ. წ. 395 წლამდე ეგვიპტე იყო რომის, ხოლო 395-639 წწ. - ბიზანტიის იმპერიის პროვინცია. 639 წელს ქვეყანა დაიპყრეს არაბებმა, რომელთაც გაავრცელეს არაბული ენა და ისლამი. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა გაიზარდა ფატიმიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში (969-1171). აიუბიანთა დინასტიისა (1171-1250) და მამლუქთა ბატონობის (1250-1517) დროს ეგვიპტე გახდა ძლიერი სახელმწიფო. 1517 წელს ეგვიპტე შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1798-1801 წლებში ეგვიპტეში სამხედრო ექსპედიცია განახორციელა ნაპოლეონ ბონაპარტემ.[9]

---

[8] გელოვანი ნ. შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში.ახლო აღმოსავლეთი და საქართველო,VI.თბილისი 2009. გვ.339-357

[9] გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008

XVIII საუკუნის დასასრულს ევროპის სახელმწიფოთა ბრძოლა კოლონიებისათვის ახალ სტადიაში შევიდა. არაბული აღმოსავლეთის მდიდარი რაიონები კოლონიზატორთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა და შესაბამისად, ეგვიპტის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ექიშპებოდა ევროპის ორი დიდი სახელმწიფო - საფრანგეთი და ინგლისი. ეგვიპტეში შეღწევის მიზნით საფრანგეთის წარმომადგენელმა ტრიუგეტმა 1785 წელს მოლაპარაკება გამართა ეგვიპტის მამლუქ ბეებთან და დადო კონვენცია სუეცის გზით ინდოეთისაკენ ფრანგი ვაჭრების თავისუფალი გატარების შესახებ. [10]

ნაპოლეონმა ,,მუსლიმი" მმართველის ალი ბუნარიდ ფაშას სახელი დაირქვა, პარასკეობით მეჩეთში დადიოდა, მონაწილეობას იღებდა რელიგიურ რიტუალებსა და დღესასწაულეში, მისი გენერალი ჟაკ მენუც კი მოექცა ისლამზე. მაგრამ ამ ღონისძიებების მიუხედავად, ნაპოლეონმა მაინც ვერ შეძლო ეგვიპტის მოსახლეობის სრული ნდობის მოპოვება და სერიოზულ წინააღმდეგობებსაც წააწყდა, ფრანგთა ადმინისტრაციული პოლიტიკიდან გამომდინარე.

1798 წლის 1 აგვისტოს აბუკირთან ადმირალ ნელსონის მიერ ფრანგების ფლოტის განადგურებას მოჰყვა ოსმალეთის მიერ საფრანგეთისათვის ომის გამოცხადება იმავე წლის სექტემბერში. ამასთან, პორტა ჩაერთო ანტიფრანგულ კოალიციაში, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ინგლისი, ავსტრია და რუსეთი. 1798 წლის ზაფხულში ანტიფრანგული გამოსვლეის მთელი ციკლი მოეწყო როზეტის, ალექსანდრიისა და დამანჰურის რაიონებში. ნაპოლეონ ბონაპარტემ ამ გამოსვლების სასტიკი რეპრესიებით უპასუხა.[11]

1800 წლის 14 ივნისს კლებერი მოკლა თურქების მიერ მიგზავნილმა მუსლიმმა ტერორისტმა, სირიელმა სტუდენტმა სულაიმან

[10] ჯანელიძე და სილაგაძე, 1967: 145-146

[11] სილაგაძე, ბ. ქართველი მამლუქები ეგვიპტეში და ერაყში. თბილისი: მეცნიერება, 1967. ჯაფარიძე, გ.
მამლუქი. წიგნში: ჯაფარიძე, გ. (ხელმძ.), 1999 გვ. 125-127

ალ-ჰალაბიმ. კლებერის მკვლელობას ფრანგებმა კაიროს განადგურებით უპასუხეს. 1801 წლის მარტში ინგლისელებმა გადმოსხეს ეგვიპტეში 20 ათასიანი დესანტი, დაიკავეს აბუკირი, გაანადგურეს ფრანგული არმიის ძირითადი ძალები და ალყა შემოარტყეს ალექსანდრიასა და კაიროში დარჩენილ ფრანგულ არმიას. 1801 წლის 27 ივნისს კაიროს ფრანგული გარნიზონი ჩაბარდა ინგლისელებს, ხოლო 31 აგვისტოს, 4 თვიანი ალყის შემდეგ, დანებდა ალექსანდრიაც. 1801 წლის 9 ოქტომბერს საფრანგეთმა ხელი მოაწერა ოსმალეთთან ზავს.[12]

1802 წლის 25 მარტს დადებული ამიენის საზავო ხელშეკრულებით, ინგლისი და საფრანგეთი აღიარებდნენ ოსმალეთის სამფლობელოებს ომამდელ საზღვრებში. 1802 წლის 13 მაისს ოსმალეთი შეუერთდა ამ შეთანხმებას და 25 ივნისს ხელი მოაწერა საფრანგეთთან საზავო ხელშეკრულებას. შესაბამისად, ეგვიპტე ფორმალურად დარჩა ოსმალეთის იმპერიის იურისდიქციაში. 1805-1811 წლებში მუჰამად ალი ბრძოლას აწარმოებდა მამლუქებთან. მუჰამად ალიმ გადაწყვიტა მამლუქთა საბოლოო განადგურება და 1811 წლის 1 მარტს, ვაჰაბიტების წინააღმდეგ ექსპედიციის დაწყებამდე, მოაწყო სამხედრო აღლუმი კაიროში. ეგვიპტის არმია შეიკრიბა კაიროს ციტადელში, საიდანაც ისინი დაიძრნენ ქალაქისაკენ. როდესაც არმიის ძირითადი ნაწილი გავიდა ციტადელიდან, ალბანელებმა ჩაკეტეს მისი ჭიშკარი და მთლიანად ამოხოცეს მამლუქები. ამის შემდეგ დაიწყო მამლუქთა სახლების ჩხრეკა კაიროში, პროვინციებში, ზემო ეგვიპტეში - მუჰამედ ალის ჯარისკაცები ყველგან თავდასხმას აწყობდნენ მამლუქებზე. გადარჩა მამლუქთა მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელთაც სუდანს შეაფარეს თავი.

მუჰამედ ალიმ დაიწყო ეკონომიკური და ადმინისტრაციული მოდერნისტული რეფორმები. 1822 წელს მთელი აღმოსავლეთ სუდანი დაიმორჩილეს, 1823 წელს კი ეგვიპტელება აიღეს ხართუმიც და ის ეგვიპტური სამფლობელოების ცენტრი გახდა. 1831 წლის 2 ნოემბერს

[12] McGregor,2006: 48-50; Fedorak, 1993: 525-534

ეგვიპტის არმია იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით შეიჭრა სირიაპალესტინის ტერიტორიაზე, ხოლო 1832 წლის 27 მაისს ეგვიპტელებმა აიღეს აქქა და შემდეგ შევიდნენ ანატოლიაში. 1833 წლის 4 მაისს ეგვიპტესა და ოსმალეთს შორის დაიდო ქუთაჰიას საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით სულთანმა სცნო მუჰამედ ალის უფლება ეგვიპტის, არაბეთის ნახევარკუნძულის, სუდანის, კრეტას, სირიის და პალესტინის მმართველობაზე. 1882 წლის 31 მაისს ხედივი თაოფიკი კაიროდან ალექსანდრიაში გადავიდა და იგი ეგვიპტის სახელმწიფოს კანონიერ მეთაურად დარჩა. ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაციის წინააღმდეგ გამოვიდა საფრანგეთი და რუსეთი, რამაც ხელი შეუშალა ინგლისს გამოეცხადებინა ეგვიპტე თავის კოლონიად. საპირისპიროდ, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია, მხარს უჭერდა ინგლისის ოკუპაციას, რამაც ინგლისს მანევრირების საშუალება მისცა. ეგვიპტე ოფიციალურად ,,დარჩა'' ოსმალეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად. რეალურად კი ეგვიპტის ერთადერთი სრულუფლებიანი ხელისუფალი იყო ინგლისის მთავრობის ნაცვალი, რომელიც აგენტისა და გენერალური კონსულის ტიტულს ატარებდა. 1904 წელს მოკავშირეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ საფრანგეთი აძლევდა ინგისს მოქმედებათა თავისუფლებას ეგვიპტეში, რის სანაცვლოდაც ინგლისი ანიჭებდა საფრანგეთს მოქმედებათა თავისუფლებას მაროკოში.

პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ეგვიპტე ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. მან დამოუკიდებლობა ოსმალეთის იმპერიისაგან 1882 წელს მოიპოვა, მაგრამ მას ინგლისი აკონტროლებდა. ეგვიპტის დამოუკიდებლობა არ უცვნია ოსმალეთის იმპერიას და აქედან მოყოლებული 1914 წლამდე ის ფორმალურად შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, სირიას კი ფრანგები მართავდნენ. თუმცა მუჰამედ ალის (1805-1849) დროს ეგვიპტე ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. 1914 წელს

ინგლისელებმა ისარგებლეს ომის დაწყებით თურქეთის წინააღმდეგ და ეგვიპტე თავის პროტექტორად გამოაცხადეს.

1.2 ერაყისა და ეგვიპტის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და კონფენსიებს შორის დაპირისპირება ხელისუფლებისათვის

დიდი ხნის მანძილზე ერაყში მიმდინარე ეთნოკონფესიურმა დაპირისპირებამ დასავლურ პრესაში ფართო გამოხმაურება ჰპოვა. უმეტესად ხდებოდა იმის წარმოჩენა, რომ კონფლიქტი წარმოადგენდა შიიტებსა და სუნიტებს შორის, მათი განსხვავებულობიდან მომდინარე,საუკუნოვანი უთანხმოების შედეგს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კომენტარების უმრავლესობა შიიტურ-სუნიტური დაპირისპირების გარდაუვალობას მიუთითებდა არამხოლოდ ერაყში, არამედ ისლამური სამყაროს სხვა ქვეყნებშიც, სადაც მრავალრიცხოვანი კონფესიური უმცირესობები არსებობს. შიიტებსა და სუნიტებს შორის არსებული განსხვავება წინასწარმეტყველ მუჰამადის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა. მაგრამ ისტორიულად სუნიტებსა და შიიტებს შორის დაპირისპირებას მაინც მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების პერიოდები ჭარბობდა. ლიბანსა და ერაყში არც თუ ისე იშვიათია სუნიტებსა და შიიტებს შორის ქორწინებაც. თუმცა გამყოფი ხაზი მათ შორის, მცირე დოზით, მუდმივად არსებობდა. დაპირისპირებამ ცოტა ხნის წინ ხელახლა იჩინა თავი და ახლო აღმოსავლეთისგეოპოლიტიკური ურთიერთობების ცვლილებების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა.[13]

ერაყის ირანში შეჭრამ და ამას მოყოლებულმა ომმაც დიდი როლი ითამაშა ამ ურთიერთობებში. სახელმწიფოთა შორის მეტოქეობამ, ასევე შიიტების სოციალურმა და ეკონომიკურმა არასახარბიელო მდგომარეობამ

[13] ნ. გელოვანი, გ. სანიკიძი, გ. ალასანია „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“ თბილისი 2011. გვ.438-449

სუნიტური უმრავლესობის ქვეყნებში, ან ისეთ ქვეყნებში,სადაც შიიტები უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ ქვეყანას სუნიტი მმართველი ჰყავს, როგორც ბაჰრეინსა და ერაყის შემთხვევებში - ამ ყველაფერმა ბოლო ათწლეულში ხელი შეუწყო შიიტების გაუცხოების გრძნობას და მათი მხრიდან ემანსიპაციისა და ლეგიტიმურობის უფრო მაღალი ხარისხის მოპოვების სურვილს. 1960-იან წლებში აიათოლა მუსა ალ-სადრის ხელმძღვანელობით დაწყებული შიიტური მოძრაობა ლიბანში საუკეთესო მაგალითია შიიტების მხრიდან თანასწრობისა და აღიარების სწრაფვისა.ჩვეულებრივ, კონფესიური კონფრონტაცია თავს იჩენს ისეთ გარემოში, სადაც ერთ ჯგუფს აქვს, ან ითვლება, რომ აქვს, პრივილეგიები ხელისუფლებაში თუ ქვეყნის კულტურული ცხოვრების სფეროში, ასევე თუ ეს ჯგუფი ფლობს სიმდიდრეს. ბაჰრეინში მცხოვრები შიიტები ითხოვენ მთავრობაში დასაქმების თანაბარ პირობებს, ისევე როგორც ერაყში მცხოვრები 15 სუნიტური ნაწილი ცენტრალური შიიტური ხელისუფლების პირობებში თავს დაჩაგრულად გრძნობს.მაგრამ ეს არსებული ვითარების მხოლოდ ერთი მხარეა. ისლამის შიგნით მზარდი რელიგიური დაძაბულობა ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონულ ქიშპთან სუნიტური საუდის არაბეთსა და შიიტურ ირანს შორის: რეგიონული მხარდაჭერის მობილიზებისთვის, არ-რიადი სუნიტური საზოგადოების დამცველად წარმოდგება, თეირანი კი, თავის მხრივ,ცდილობს მოკავშირეები იყოლიოს ლიბანსა თუ ერაყში, ისევე როგორც სირიაში. ირანსა და საუდის არაბეთს, ერაყთან ერთად, რეგიონში გავლენის მოპოვების მრავალწლიანი კონკურენცია აკავშირებთ.

კონფესიური განსხვავებულობის ფაქტორის გავლენაზე მიუთითებს საუდის არაბეთის პოზიციაც მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ საუდის არაბეთის მეფე აბდულა მხარს უჭერს სირიის ოპოზიციას, მაშინ როცა 2011 წლის მარტში მეზობელ ბაჰრეინში ჯარიც კი გაგზავნა მთავრობისთვის დახმარების აღმოსაჩენად ანალოგიური ოპოზიციური ძალების (მაგრამ შიიტურის) წინააღმდეგ. ბევრი

ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ორივე შემთხვევაში საუდის არაბეთი არა დაჩაგრულ ხალხს, არამედ უბრალოდ სუნიტებსეხმარებოდა.

დაპირისპირების საკითხი: ერაყში დაახლოებით 60-65% შიიტები, 32-37% სუნიტები არიან. ცენტრალურ ხელისუფლებაში ამჟამად შიიტური პარტიები დომინირებენ, რაც სუნიტი არაბების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან, სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლებას ერაყის ყოფილი ლიდერის, სადამ ჰუსეინის მმართველობისას და მანამდეც.

2011 წლის დეკემბერში, აშშ-ს მიერ ჯარების გაყვანის შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ერაყის უსაფრთხოების ძალებსა და შიიტ მოსახლეობაზე მიზანმიმართული თავდასხმები. ალ-ყაიდასთან დაკავშირებული სუნიტ ექსტრემისტთა ჯგუფები შიიტებსა და სუნიტებს შორის ძალადობის გაჩაღებით მუდმივად ცდილობენ სახელმწიფოში დესტაბილიზაციის გამოწვევას. ალ-ყაიდას სუნიტი ფანატიკოსები თვლიან, რომ შიიტი პოლიტიკოსები, რომლებიც ბაღდადში დომინირებენ, უცხოელი დამპყრობლების მემკვიდრეები არიან. ერთ დროს ერაყში ძალადობა მიმართული იყო ანგლო-ამერიკელი „ოკუპანტების“ წინააღმდეგ, დღეს ეს ძალადობა ძირითადად შიიტ უმრავლესობასა და სუნიტ უმცირესობას შორის იჩენს თავს. ლონდონის ეკონომიკის სკოლის ლექტორის, ტობი დოჯის მიხედვით, ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას „ახალი რეგიონული ცივი ომით“, რომელიც ახლო აღმოსავლეთს შუაზე ჰყოფს. ამ ყოვლისმომცველ ბრძოლაში, ირანი და საუდის არაბეთი მთავარი ანტაგონისტები არიან: პირველი, როგორც შიიტების მთავარი მფარველი და მეორე, როგორც სუნიტური არაბული მიწისა და მისი წმინდა ადგილების „უკანასკნელი დამცველი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შიიტების მოსვლამ ერაყის ხელისუფლებაში განაპირობა ირანის პოლიტიკური გავლენის ზრდა ერაყში, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ირანის გავლენა მეზობელ ერაყსა და ზოგადად რეგიონში. ამან განაპირობა ურთიერთობიოს გართულება ირანის მეორე დიდ მეზობელ საუდის არაბეთთან, რომელიც როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ „სუნიტების დამცველად“ გვევლინება რეგიონში. შიიტების,

რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შადგენენ, ერაყის ხელისუფლებაში მოსვლამ მნიშვნელოვნად დააახლოვა ეს ქვეყანა ირანთან, რაც ბუნებრივია არამც თუ საუდის არაბეთის, არც აშშ-ს ინტერესებში შედის, რომლის მიზანიც ირანის გავლენის შემცირებაა რეგიონში. ასე რომ, 2003 წელს, სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოშორებამ ხელისუფლებისაგან ის შედეგი არ გამოიღო აშშ-სა და მისი მოკავშირებისათვის,რასაც ისისნი ელოდნენ. ამის შემდგომ ირანს ერაყის არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.[14]

ერაყის ხელისუფლებაში რომ შიიტები არ მოსულიყვნენ, 1943 წელს მიღებულ კონსტიტუციაში პირდაპირ ეწერა,რომ ქვეყნის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო სუნიტი მუსლიმი და ა.შ. ეს საშუალებას აძლევდა ერაყის მოსახლეობის უმცირესობაში მყოფ სუნიტებს შეენარჩუნებინათ 1921 წლიდან მოპოვებული ხელისუფლება. ეს ბალანსი დაირღვა 2003 წლიდან.

2014 წლის ივნისში ერაყში ისლამისტების გააქტიურების, მათ მიერ მოსულის და სხვა ქალაქების დაკავების შემდეგ,ირანი მტკიცედ უჭერდა მხარს პრემიერ მინისტრ ნური ალ-მალიქის მთავრობას.თავის მხრივ, მალიქი მხარს უჭერდა ირანის რეგიონულ მზნებს, თეირანს უფლებას აძლევდა ერაყის საჰაერო სივრცის გამოყენებით, მოემარაგებინა სირიაში ასადის მხარდამჭერი ძალები.[15]

ერაყში ვითარების დაძაბვის შემდეგ ირანმა ოფიციალურად განაცხადა,რომ თეირანი ერაყში სირიაში გამოყენებულ ტაქტიკას გააგრძელებს: მხარს დაუჭერს ერაყის მთავრობას ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს მხარდაჭერა სამხედრო მრჩევლების გაგზავნითა და ჰუმანიტარული დახმარებით შემოიფარგლება.

---

[14] გელოვანი ნ. შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი 2009. გვ. 391-444

[15] Kenneth Katzman, Iran:U.S concerns and policy Responses; congressuinal Research Service;april 14,2015 გვ.165-178

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეგვიპტეში ახალი ძალით გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა. ეგვიპტელი ნაციონალისტები აღფრთოვანებული იყვნენ ოსმალეთის იმპერიისაგან არაბული მიწების გამოყოფით და ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო უილსონის (1913-1921) განცხადებებით.

1918 წლის 13 ნოემბერს დელეგაციის სამმა წევრმმა ინგლისის უმაღლეს კომისარს რეჯინალდ უინგეითს მიმართა თხოვნით ნება დაერთო ჩასულიყვნენ ლონდონში და მოლაპარაკება დაეწყოთ ბრიტანეთის პროტექტორატის დასრულების თაობაზე. იმავე თხოვნით მიმართეს ინგლისის საგარეო სამინისტროს პრემიერ-მინისტრმა ჰუსაინ რუშდი ფაშამ და ადლი იაქანმა. ამის პარალელურად, ზაგლულის ჯგუფმა დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მათ მიერ შემუშავებულ ეროვნული მოთხოვნების ქარტიაზე. ეგვიპტის მოთხოვნებზე უარმა და 1919 წლის 8 მარტს ვაფდისტთა ოთხი ლიდერის (ზაგლული და მისი მომხრეები) დაპატიმრებამ გამოიწვია რევოლუციური აფეთქება.

1922 წლის 28 თებერვალს ინგლისმა გამოაქვეყნა დეკლარაცია რომლებმაც გააუქმა ინგლისის პროტექტორატი და გამოაცხადა ეგვიპტე დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, მაგრამ მეოთხე პუნქტი უნდა განხილულიყო ინგლისსა და ეგვიპტეს შორის შემდგომი მოლაპარაკებების დროს. ეგვიპტეში დარჩნენ ინგლისელი მრჩევლები, უმაღლესი კომისარი. უცვლელი დარჩა აგრეთვე ინგლისის პოზიციები ეგვიპტის ეკონომიკაში.

1929-1933 წლებში მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბიძგი მისცა ეგვიპტეში ახალი განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. ქვეყნის ეკონომიკა ემსახურებოდა ინგლისელთა არმიის სამხედრო საჭიროებას. მოსახლეობის უკმაყოფილების საბაბი გახდა ინგლისის ლეიბორისტული მთავრობის მიერ ეგვიპტისათვის ახალი ხელშეკრულების თავს მოხვევა. ვაფდის ახალმა ლიდერმა ნაჰას ფაშამ უარი თქვა მის ცნობაზე. მეფე ფუადმა გადააყენა ნაჰას ფაშას მთავრობა. ახალ კაბინეტს სათავეში

ჩაუდგა ისმაილ სიდკი ფაშა, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისი პარტია - ჰიზბ აშ-შა'ბ (ხალხის პარტია). [16] 1936 წლის 29 აპრილს მეფე ფუადი გარდაიცვალა და გამეფდა მისი ვაჟი ფარუკი. 1936 წლის 26 აგვისტოს ეგვიპტის დელეგაციამ ხელი მოაწერა ინგლისთან ხელშეკრულებას, რომელიც განიხილება როგორც ,,ბოლო ნაბიჯი ეგვიპტის პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ''. [17]

1936 წლის ხელშეკრულების საფუძველზე გაფართოვდა სამხედროსტრატეგიული ობიექტების მშენებლობის პროგრამა ეგვიპტეში - გამოიყო თანხები ეგვიპტეში ინგლისური ბაზების შეიარაღეაზე და კომუნიკაციებზე. ეგვიპტემ მეტი თავისუფლება მიიღო თავდაცვის საკითხებში - მაგ. მიიღო უფლება არმიის რაოდენობის გაზრდაზე.[18] ომის დაწყების წინ კი ქვეყანაზე ბრიტანეთის ზეგავლენა კვლავაც დიდი იყო. ეგვიპტემ გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები გერმანიასთან, როგორც კი ბრიტანეთმა ამ უკანასკნელს ომი გამოუცხადა. 1936 წლის ინგლის-ეგვიპტური ხელშეკრულების თანახმად, ქვეყანაში საომამრი მდგომარეობა არ გამოცხადდა. 1939-1940 წლებში ეგვიპტე ბრიტანეთის იმპერიის ყველა კუთხიდან ჩამოსული ჯარების უზარმაზარ ბაზად გადაიქცა.[19]

როდესაც 1940 წლის ივნისში მუსოლინის იტალია ომში ჩაება, ეგვიპტემ გაწყვიტა ურთიერთობები მასთან; იტალიამ კი გადაწყვიტა შეეტია ეგვიპტისთვის და სუდანისთვისაც. იტალიური სამხედრო თვითმფრინავები რეიდებს ახორციელებდნენ ეგვიპტეში და ქვეყანა სრულმასშტაბიანი იტალიური შემოსევის საფრთხის წინაშე იდგა. გერმანული ავიაცია კი ცდილობდა გამოუსადეგრად ექცია სუეცის არხი.

---

[16] Richards, Alan & Waterbury John. A Political Economy of the Middle East: State, Class and Economic Development. Boulder, San Francisco and Oxford: Westview Press, 1990. [18] Botman, 2008: 293-300; Marsot, 2007: 104-109

[17] Goldsmith, Arthur & Davidson, Lawrence. A Concise History of the Middle East. 8th ed. Boulder, Colorado:
Westview Press, 2006

[18] Cleveland, William L.A History of the Modern Middle East. 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004, 2009

[19] Goldsmith, 2004: 89

გერმანიის აფრიკული კორპუსის მთავარსარდალმა გენერალმა ერვინ რომელმა შეტევა წამოიწყო ეგვიპტეზე. ბრძოლებს ბრიტანული და იმპერიის სხვა ქვეყნების ძალები აწარმოებდნენ, მცირე ეგვიპტური არმია კი უშუალოდ არ ყოფილა ჩართული საომარ მოქმედებებში. 1942 წლის იანვარში რომელმა ისევ წამოიწყო წინსვლა ეგვიპტისკენ.

ეგვიპტის მოსახლეობის დამოკიდებულება ომისადმი არ იყო ერთგვაროვანი. პოლიტიკოსთა უმრავლესობა გერმანიისათვის ომის გამოცხადების წინააღმდეგი იყო, ერთი მხრივ, იმ შეხედულებებიდან გამომდინარე, რომ ეს არ იყო ეგვიპტის ომი და მეორე მხრივ, არ იყვნენ ბრიტანელთა უეჭველ გამარჯვებაში დარწმუნებული. გარეგნულად, ეგვიპტე აქტიურად და ნებაყოფლობით თანამშრომლობდა ბრიტანეთთან ეგვიპტის დაცვის საქმეში. პროგერმანულად განწყობილთა შორის იყო გენერალი აზიზ ალმასრი, ეგვიპტის გენშტაბის უფროსი და ასევე ახალგაზრდა კაპიტანი ანვარ-ალ სადათი, რომელზეც ბრიტანულმა დაზვერვამ ეჭვი მიიტანა, რომ თანამშრომლობდა პროგერმანულ იატაკქვეშა ორგანიზაციასთან და ის დააპატიმრეს.

ეგვიპტე სუვერენულ ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ რეალურად ბრიტანეთზე იყო დამოკიდებული. ამან ომამდელ და ომისდროინდელ პერიოდში მრავალ ახალგაზრდა ეგვიპტელს დაუკარგა საპარლამენტო დემოკრატიისა და პარტიების ნდობა. ომის წინ უკვე არსებობდა ულტრანაციონალისტური დაჯგუფება ,,ახალგაზრდა ეგვიპტის'' სახელწოდებით, რომლის წევრებიც ატარებდნენ მწვანე პერანგებს, გადიოდნენ გასამხედროებულ წვრთნას და შემოღებული ჰქონდათ ფაშისტური მისალმების წესი. მათი ლიდერი აჰმად ჰუსაინი მოხიბლული იყო ჰიტლერით და მუსოლინით. ომის დროსა და შემდგომ წლებში ,,ახალგაზრდა ეგვიპტე'' უკვე იწოდებოდა ,,ისლამურ სოციალისტურ პარტიად'' და მონაწილეობას იღებდა დემონსტრაციებსა და მასობრივ არეულობებში. პროპაგანდა ასევე დაიწყო საბჭოთა კავშირის მიერ

მხარდაჭერილმა ეგვიპტის კომუნისტურმა პარტიამ.[20] ყველაზე პოპულარული მოძრაობა კი ,,ძმები მუსლიმების ასოციაცია'' იყო. 1944 წლის ოქტომბერში მეფემ დაითხოვა ვაფდისტთა მთავრობა და მცირე ლიბერალური პარტიების წევრები მოიწვია მთავრობის შესაქმნელად, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ვაფდისტთა მოწინააღმდეგეები იყვნენ; ნაჰასი კი შეცვალა აჰმედ მაჰირით, ალი მაჰირის ძმით, რომელმაც შექმნა ახალი ანტივაფდისტური მთავრობა. ახალი პრემიერი მოითხოვდა, რომ ეგვიპტეს ომი გამოეცხადებინა გერმანიისთვის მომავალ გაეროში ადგილის გარანტირებისთვის. 1945 წლის 24 თებერვალს აჰმედ მაჰირმა პარლამენტში წაიკითხა ეგვიპტის მიერ გერმანიისთვის ომის დეკლარაციის ტექსტი. შენობიდან გამოსვლისას კი ის მოკლეს. ,,თითქმის უეჭველია, რომ ეს აქტი დაიგეგმა მუსლიმი ძმების ახალი ტერორისტული ფრთის მიერ''.[21]

1.3 მონარქიების დასასრული და სეკულარული რესპუბლიკები ერაყსა და ეგვიპტეში

1954 წელს დაარსდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია - ბაასი. 1956 წელს კი ერაყის არმიაში ჩამოყალბდა იატაკქვეშა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“, რომელშიც დომინირებდა სუნიტი არაბი ოფიცების ფრაქცია გენერალ აბდ ალ-ქარიმ კასიმის ხელმძღვანელობით. მისი უახლოესი თანამოაზრე იყო პოლკოვნიკი აბდულ სალამ არიფი. 1957 წლის თებერვალში ეროვნული ერთიანობის ფრონტში შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებლობის პარტია,არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია და ერაყის კომუისტური პარტია. 1957 წელს სადამ ჰუსეინი ბაასის პარტიის წევრი გახდა.

1958 წლის 14 ივლისს ერაყის არმიის ოფეცერთა ჯგუფი, გენერალ აბდ ალ-ქარიმ კასიმის და პოლკოვნიკ აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, გამოვიდა მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ.

[20] Goldsmith, 2004: გვ. 89

[21] Mamsfieed, Kanan. The politics of Modern Syria, 1992, Vol.6, No 176, pp 15-22

აჯანყებულებმა დაიკავეს მეფის სასახლე და სამთავრობო დაწესებულებები. სამხედროებს შეუერთდა სამოქალაქო მოსახლეობაც. დედაქალაქი და შემდეგ მთელი ქვეყანა აჯანყებულთა კონტროლქვეშ აღმოჩნდა. მონარქია დაემხო, ხოლო მეფე ფაისალ II, მემკვიდრე პრინცი აბდ ალ-ილაჰი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები დახოცეს. დაიწყო სამეფო ელიტისადმი ანგარიშსწორებაც, რისი მსხვერპლიც გახდა პრემიერ-მინისტრი ნური-ას საიდიც.

ქვეყანაში დაემხო მონარქია და გამოცხადდა ერაყის რესპუბლიკის შექმნა. მონარქის დამხობის შემდეგ წარმომადგენლობითი ინსტიტუტები არ ჩამოყალიბებულა და აბდ ალ-ქარიმ კასიმი გახდა პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. აბდულ სალამ არიფი კი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1958 წლის 26 ივლისს მიღებულ იქნა ერაყის რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია . პრეზიდენტი გახდა აბდ ალ-ქარიმ კასიმი და იგი იმავდროულად იყო რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭოს თავჯდომარეც.[22]

ხელისუფლების სათავეში მოსული სამხედროების ნაციონალიზმს არაფერი ჰქონდა საერთო დემოკრატიულ ფასეულობებთან. სამხედრო ელიტა გამოირჩეოდა კონსერვატორული, ანტიდემოკრატიული შეხედულებებით. ამას მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის შეფერხება. მალე თავი იჩინა უთანხმოებამ თავისუფალი ოფიცრების სხვადასხვა ფრაქციებს შორის, რადგანაც სამხედროების ნაწილმა ვერ მიიღო მნიშვნელოვანი პოსტები და არ იყო ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თვითონ კასიმსა და არიფს შორისაც უთანხმოება იყო, რის გამოც ეს უკანასკნელი 1958 წლის სექტემბერში დანიშნა ელჩად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.[23]

---

[22] Anderson liam , Gareth Stansfield .*The Future of Iraq: Dictatorship, Democracy, or Division? Paperback – August 25, 2005 გვ. 36*

[23] Davisha, 2009 გვ. 174 -183

კასიმის მმართველობის წლებში (1958-1963) აქტიურად მოქმედებდა ერაყის კომუნისტური პარტია. მან შეძლო მასების მიმხრობა და წინააღმდეგობის ჯგუფების ჩამოყალიბება.იმ პერიოდში პარტია ბაასისტებზე გაცილებით უფრო ძლიერი იყო და ეხმარებოდა კასიმს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მალე კომუნისტებმა პოზიცია შეცვალეს. მათ კავშირი დაამყარეს ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასთან და დაიწყეს ერთობლივი ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზება. მათი ბაზა გახდა ერაყის ქურთისტანი. 1958-1959 წლებში ანტისამთავრობო გამოსვლები ხელისუფლებამ ჩაახშო და კასიმმა მიმართა რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ,ხოლო წინააღმდეგობის ჯგუფები ხელოსუფლებამ დაშალა. თანდათანობით გაძლიერდა კასიმის პირადი ხელისუფლება, რომელიც გადაიქცა ერთპიროვნულ დიქტატორად.

1960 წლის იანვარში ხელისუფლებამ მიიღო კანონი ასოციაციებზე,რომლის საფუძველზე მოხდა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგალიზაცია. კასიმის ერთპიროვნულმა დიქტატურამ გამოიწვია ბაასისტების,არაბი ნაციონალისტების მოძრაობის და ე.წ ერაყელი ნასერისტების უკმაყოფილება. 1962 წელს კასიმის პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა ჩამოაყალიბეს შეთქმულთა ჯგუფი მის წინააღმდეგ. მას ხელმძღვანელობდნენ ბაასისტები და არიფის მომხრეები.ბაასის პარტია გულდასმით ემზადებოდა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად. დარტყმა მიმართული იყო არა მხოლოდ რეჟიმის,არამედ კომუნისტური პარტიის წინააჭმდეგ.

1963 წლის 18 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად სამხედროებმა, აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, ჩამოაშორეს ხელისუფლებას ბაასის პარტია. ხელისუფლებამ მიიღო ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომელმაც გამოცხადა ერაყის ყველა მოქალაქის თანასწორობა. გრძელდებოდა რეპრესიები მემარცხენე ძალებსა და ქურთების წინააღმდეგ. 1964 წლის რეჟიმმა განაახლა რეპრესიები

ბაასისტებისა და იუნიონისტების წინააღმდეგ. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ჰასან ალ-ბაქრი და სადამ ჰუსეინი, რომელიც 1966 წლამდე დარჩა ციხეში. არიფის რეჟიმი გადაიქცა სამხედრო-ბიუროკრატიულ დიქტატურად.ქვეყანაში განმტკიცდა მემარჯვენე ძალთა პოზიციები. 1966 წლის აპრილში ავიაკატასტროფაში დაიღუპა აბდულ სალამ არიფი.პეზიდენტად აირჩიეს მისი ძმა აბდულ რაჰმან არიფი(1966-1968). იგი შეეცადა პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაციას. 1968 წლის 17 ივლისს მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. საბოლოოდ, ბაასისტებმა 30 ივლისს სამხედროები გაათავისუფლეს დაკავებული პოსტებიდან,ქვეყნის პრეზიდენტი აბდულ რაჰმან არიფი კი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს.ხელისუფლება მთლიანად გადავიდა ბაასის ხელში.

ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო. მისი თავჯდომარე გახდა აჰმად ჰასან ალ-ბაქრი,რომელსაც იმავდროულად ეკავა ერაყის პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის პოსტი. 31 წლის სადამ ჰუსეინი გახდა მეორე პირი ახალ სახელისუფლო იერარქიაში. 1969 წელს მან დაიკავა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი.ის ხელმძღვანელობდა აგრეთვე პარტიის უსაფრთოების ბიუროს და კურირებდა ბაასის საორგანიზაციო და იდეოლოგიური სამუშაოების განყოფილებას.სადამ ჰუსეინი ცდილობდა ალ-ბაქრის ნდობის მოპოვებას,რომელსაც ის „მამა-ლიდერს“ უწოდებდა.

1968 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა საგანგებო რევოლუციური სასამართლო,ჯაშუშების,აგენტებისა და „ხალხის მტრების“ განსასჯელად.დანაშაულის კვალიფიკაცია იყო ტრადიციული:“შეთქმულება ხელისუფლების დასამხობად “,“შპიონაჟი აშშ-ის,ისრაელის და ირანის სასარგებლოდ“.ამის პარალელურად ხშირი იყო ადამიანის მოტაცებები და დაპატიმრებები სასამართლო განხილვის გარეშე.სახელმწიფო დაწესებულებებში მიმდინარეობდა არასასურველი ელემენტების „წმენდა“.ჰუსაინი დარწმუნებული იყო რომ „თუ თვითონ არ

მიაყენებდა დარტყმას თავის მოწინააღმდეგეს, რეალურად ან წარმოსახვით, მაშინ ისინი დაასწრებდნენ მას თავდასხმას“. 1970 წლის 16 ივლისს მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელმაც ერაყი გამოაცხადა „სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად“. 1976 წელს ალ-ბაქრმა სადამ ჰუსაინს,რომელსაც არ ჰქონდა მიღებული სამხედრო განათლება, მიანიჭა არმიის გენერლის წოდება. 1976 წელს გამოიცა დეკრეტი,რომლის მიხედვითაც მხოლოდ ბაასის პარტიას შეეძლო ეწარმოებინა პოლიტიკური საქმიანობა შეიარაღებულ ძალებში.

ახალი ლიდერის ერთ ერთი უპირველესი მიზანი გახდა სრული პოლიტიკური, იდეოლოგიური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება ქვეყანაში.ეს ამოცანები უნდა გადაწყვეტილიყო რამდენიმე გზით-პირველი იყო სახელმწიფო აპარატის“ წმენდა“ და სადამ ჰუსაინისადმი პირადი ერთგულებით გამოჩეული ადამიანების დანიშვნა სახელმწიფო თანამდებობებზე. სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა იყო პრეზიდენტის სრული პოლიტიკური კონტროლის განმტკიცება და ხალხზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა.

1956 წლის 23 ივნისს მეორე დროებითი კონსტიტუციიტ, ქვეყანაში დამყარდა ერთპიროვნული რეჟიმი და პრეზიდენტი სათავეში ჩაუდგა ერთადერთ პარტიას - ეროვნულ კავშირს, რომლის აღმასრულებელ კომიტეტს უნდა დაესახელებინა და წარედგინა ეროვნული კრების დეპუტატობის ყველა კანდიდატი, ფაქტობრივად დაენიშნა პარლამენტის შემადგენლობა. კონსტიტუციაში გათვალისწინებული იყო ეგვიპტის რესპუბლიკის მეთაურის არჩევის პროცედურა - რეფერნდუმის გზით და არა პირდაპირი საყოველთაო კენჭისყრთ, რამაც განამტკიცა პრეზიდენტის ხელისუფლების ავტორიტარული ხასიათი.[24]

1960 - იან წლებში ეგვიპტის მთავრობამ დაიწო რეფორმების გატარება ,,სოციალიზმის მშენებლობა ეგვიპტეში მარქსისტული მოდელით''. 1962

[24] Barber, 1964: გვ. 76-77

წლის 6 ნოემბერს გამოცემულ იქნა პრეზიდენტ ნასერის დეკრეტი ქვეყანაში ერთადერთი მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის - არაბული სოციალისტური კავშირის დაარსების შესახებ თავჯდომარე გახლდათ - გამალ აბდელ ნასერი.[25] 1964 წლის ახალი კონსტიტუციით, ეგვიპტე გამოცხადდა დემოკრატიულ, სოციალურ სახელმწიფოდ, რომელიც უნდა განვითარებულიყო ,,ხალხთა მასების ხელმძღვანელობით''. ნასერის პრეზიდენტობა ნიშანდებული იყო ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციით. მკვლევრები აღწერენ ნასერის რეჟიმს ტერმინებით: ,,მართული დემოკრატია'' და ,,რბილი ავტორიტარიზმი''.[26]

1970 წლის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ანვარ სადათმა, რომელმაც უარი თქვა ნასერის კურსზე - გაათავისუფლა ნასერის მომხრეები სახელმწიფო აპარატიდან, მოხდა სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის დენაციონალიზაცია. 1971 წლის 2 სექტემბერს ეგვიპტის ადრინდელი სახელწოდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკით შეიცვალა, რაც მოიწონა სახალხო რეფერენდუმმა. 1971 წლის 11 სესექტემბერს მიიღეს ,,ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი კონსტიტუცია'', რომელიც 1980 წლის 22 მაისის შესწორებით დღემდე მოქმედებს. 1972 წელს სადათმა გაწყვიტა კავშირი სსრკსთან; 1973 წლის შემოდგომაზე სადათის ინიციატივით დაიწყო არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ისრაელის მიერ ,,ექვსდღიანი ომის'' დროს დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნება და განემტკიცებინა ეგვიპტის ახალი მთავრობის ავტორიტეტი არაბულ სამყაროში.[27] 1975 წლის სექტემბერში მათ შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა სინას ნახევარკუნძულის დიდი ნაწილის დაბრუნებას ეგვიპტისათვის, თუ ის დადებდა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულებას. საბოლოო სახით ხელშეკრულება

[25] Hopwood, Derek. Egypt: Political and Society, 1945-1984. 3rd ed. London: Routledge, 1991 გვ. 153.
[26] Waterbury, John. The Egypt of Nasser and Sadat: The Political Economy of Two Regimes. Princeton, New Jersey: Princeton University Press, 1983 გვ. 167-172
[27] Goldschmidt, 2004: 161-165

ხელმოწერილ იქნა 1979 წლის 26 მარტს ვაშინგტონში. ისრაელთან ხელშეკრულებამ გამოიწვია სადათის მკაცრი კრიტიკა, როგორც ეგვიპტეში, ისე მთელ არაბულ სამყაროში.[28]

1977 წლის 18-19 იანვარს ,,პურის ბუნტი'', რომელიც მიმდინარეობდა შეძახილებით ,,გაუმარჯოს ნასერს!'', ,,ძირს სადათი!'' იყო გაფრთხილება პრეზიდენტისათვის. ფიასკო განიცადა 1970-იანი წლების ბოლოს სადათის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტირების ახალმა გარდაქმნამ, რომელმაც მიიღო სახელმწოდება - ,,დემოკრატიული ექსპერიმენტი''.

1981 წლის 6 ოქტომბერს კაიროს გარეუბანში - ჰელიოპოლისში სამხედრო აღლუმზე, მოკლეს ანვარ სადათი. ერთი კვირის შემდეგ მმართველმა სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტის პოსტზე პარლამენტში განსახილველად წარადგინა ვიცე-პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის კანდიდატურა. ჰოსნი მუბარაქი გახდა პრეზიდენტი ქვეყნისა, რომელიც მწვავე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, ჰქონდა დიდი საგარეო ვალი და იზოლირებული იყო არაბული სამყაროსგან.

1984 წელს აღდგა ეგვიპტის წევრობა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში; 1987 წლიდან დაიწყო ურთიერთობების გაუმჯობესება არაბულ ქვეყნებთან, აღდგა ეგვიპტის წევრობა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში და თუნისიდან კაიროში დარუნდა ლიგის შტაბ-ბინა (1991); 1988 წელს ეგვიპტე გახდა ინიციატორი ახალი ორგანიზაციის - ,,არაბული თანამშრომლობის საბჭოს'' დაარსებისა, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და პოლიტიკის კოორდინაციისთვის არაბულ ქვეყნებს შორის. ეგვიპტის აღდგენილი ავტორიტეტის აღიარება იყო 1989 წელს ჰოსნი მუბარაქის არჩევა აფრიკული ერთობის ორგანიზაციის თავჯდომარედ. იმავდროულად ეგვიპტე იღებდა დასავლეთის ქვეყნების

[28] Safty,1991: 285-298

და მათ შორის აშშ-ს დახმარებას. ოპონენტები ხშირად აკრიტიკებდნენ ჰოსნი მუბარაქს იმ ფაქტის გამო, რომ მან გადააქცია ქვეყანა ,,ამერიკის ეგვიპტედ''.[29]

1987 წლის არჩევნები იყო ყველაზე დემოკრატიული. პირველად დაუშვეს პარტიული ბლოკების ჩამოყალიბება. ოპოზიცია ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სახალხო კრებაში. 1990 - იან წლებში ჰოსნი მუბარაქიმ არაერთხელ შეზღუდა პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების, სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებდა ისლამისტ მებრძოლებს და 1993 წლიდან მრავალი სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა. ეგვიპტეში 2004 წლიდან აქტიურად მოქმედებდა მოძრაობა ,,ქიფაია'' (,,კმარა'') - ,,ეგვიპტური მოძრაობა ცვლილებებისთვის'', რომელიც იბრძოდა დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლებისათვის. მოძრაობის მიზანი იყო ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან ჩამოცილება.

ეგვიპტის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩატარდა სახელმწიფო მეთაურის პირდაპირი ალტერნატიული არჩევნები. უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობდა რთულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში. ამრიგად, ეგვიპტეში ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმეი.

[29] Cleveland, 2009: 394

თავი II ავტორიტარული რეჟიმების დამყარების პოლიტიკური საფუძვლები

2.1 ავტორიტარიზმი და მისი შედეგები ერაყისა და ეგვიპტის განვითარებაზე

40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში ერაყში გაძლიერდა ბრძოლა მონარქიული რეჟიმის წინააღმდეგ. 1955 წელს ინგლისის აქტიური მონაწილეობით ბაღდათში შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი - ბაღდათის პაქტი, რომელშიც შევიდნენ ერაყი, ირანი, თურქეთი და პაკისტანი. ნგლის-ერაყის 1955 წლის შეთანხმებით, რომელმაც შეცვალა 1930 წლის შეთანხმება, ინგლისი ინარჩუნებდა სამხედრო-პოლიტიკურ კონტროლს ერაყზე, რაც ერაყის მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ბაღდათის პაქტიდან ერაყის გამოსვლის მოთხოვნამ ქვეყანას სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური ძალები გააერთიანა. ფართო მანიფესტაციები და საპროსეტსო გაფიცვები 1956 წლის ნოემბერში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა ერაყის სამ მთავარ ქალაქში - ბაღდათში, ბარსასა და მოსულში. მათ შიიტური ქალაქებიც შეუერთდა - ნაჯაფი, ქუფა და ჰალი. 1956 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ხელისუფლებამ ჩაახხშო აჯანყება, რამაც ერაყის ოპოზიციური ძალები დაარწმუნა პოლიტიკური მოქმედებებისა და ანტისამთავრობო აქციების კოორდინაციის აუცილებლობაში.

1954 წელს დაარსდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია - ბაასი, რომელიც მალე უაღრესად პოპულარული გახდა მოსახლეობაში. 1956 წელს კი ერაყის არმიაში ჩამოყალიბდა იატაკქვეშა ორგანიზაცია „თავისუფალი ოფიცრები“. 1957 წლის თებერვალში ეროვნული ერთიანობის ფრონტში შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, დამოუკიდებლობის პარტია (ისთიკლალ), არაბთა სოციალისტური

აღორძინების პარტია (ბაასი) და ერაყის კომუნისტური პარტია. 1957 წელს სადამ ჰუსაინი ბაასის პარტიის წევრი გახდა.[30]

1958 წლის 14 ივლისს ერაყის არმიის ოფიცერთა ჯგუფი, გენერალ აბდ ალ-ქასიმის და პოლკოვნიკ აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, გამოვიდა მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა დაიკავეს მეფის სასახლე და სამთავრობო დაწესებულებები. მონარქია დაემხო, ხოლო მეფე ფაისალ II, მემკვიდრე პრინცი აბდ ალ-ილაჰი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები დახოცეს.[31] ქვეყანაში დაემხო მონარქია და გამოცხადდა ერაყის რესპუბლიკის შექმნა. 1958 წლის 26 ივლისს მიღებულ იქნა ერაყის რესპუბლიკის დროებითი კონსტიტუცია. პრეზედენტი გახდა აბდ ალ-ქარიმ კასიმი (1958-1963). მის დროს ერაყი გამოვიდა ბაღდათის პაქტიდან, ერაყისა და იორდანიის არაბული ფედერაციიდან, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ყველა კომუნისტურ ქვეყანასთან.[32]

1963 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაემხო კასმის დიქტატურა და პრეზიდენთი გახდა აბდულ სალამ არიფი (1963-1966). ახალ მთავრობაში ძირითადი პოსტები ბაასისტებმა მიიღეს - ვიცე-პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი გახდა ბაასისტი აფმედ ჰასან ალ-ბაქრი.[33] ახალმა რეჟიმმა ქვეყანაში დაიწყო მასობრივი მასობრივი ტერორი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერაყის ბაასის ლიდერი ას-სიდი - მთავრბის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი. 1963 წლის 18 ნოემბრის სახელმწიფო გადატრიაელბს შემდეგ სამხედროებმა, აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, ხელისუფლებას ჩამოაშორეს ბაასის პარტია. ხელისუფლებამ მიიღო ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომელმაც გამოაცხადა ერაყის ყველ მოქალაქის თანასწორობა. ამასთან, იკრძალებოდა ყველა პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობა და მათ ნაცვლად უნდა შექმნილიყო სამთავრობო ორგანიზაცია - არაბული სოციალისტური

[30] Anderson & Stansfield, 2004: გვ. 43; Cleveland, 2009, გვ. 408
[31] Dawisha, 2009: გვ.171; Tripp, 2007: გ.114
[32] Anderson & Starsfield, 2004: გვ. 36
[33] Tripp, 2007: გვ. 163-164

კავშირი, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერი ყველა პოლიტიკური ძალა. თუმცა, ერაყში დამყარებული პოლიტიკური სტაბილურობა მოჩვენებითი იყო. ბრძოლა ხელისუფლებისთვის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არ შეწყვეტილა. 1964 წელს რეჟიმმა განაახლა რეპრესიბი ბაასისტებისა და იუნიონისტების წინააღმდეგ. არიფის რეჟიმი გადაიქცა სამხედრო--ბიუროკრატიულ დიქტატურად. [34]

მზარდი შინაპოლიტიკური კრიზისის პირობებში ბაასის ხელმძღვანელობამ, 1968 წლის 17 ივლისს მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. ქვეყნის პრეზიდენტი აბდულ რაჰმან არიფი კი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს. ხელისუფლება მთლიანად გადავიდა ბაასის ხელში[35]. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო. მისი თავმჯდომარე გახდა აჰმედ ჰასან ალ-ბაქრი (1968 - 1979), რომელსაც იმავდროულად ეკავა ერაყის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრს პოსტი.[36] 1970 წლის 16 ივლისს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ერაყი გამოაცხადა „სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად“. სახელმწიო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო გახდა რევოლუციონერი ხელმძღვანელობის საბჭო.[37] ბაასმა მიზნად დაისახა იდეოლოგიური არმიის შექმნა, რომელიც დაიცავდა მის ხელისუფლებას. სამხედრო-სასწავლო დაწესებულებებში იღებდნენ მხოლოდ ბაასის წევრებს, რომლებიც ხელს აწერდნენ ვალდებულებას - ემუშავათ პარტიის ინტერესებისთვის, მისი დარღვევის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეებს ემუქრებოდათ რეპრესიებ. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აწინაურებდნენ მხოლოდ იმ გენერლებს და ოფიცრებს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ სადამ ჰუსაინთან. 1976 წლის ბოლოს არმიაში ბაასის პოლიტიკური კომისრების ქსელი ჩამოყალიბდა, რომლებიც

[34] Tripp, 2007: გვ. 183
[35] Anderson & Stansfield, 2004: 39-40, გვ. 50
[36] Dawisha, 2009: 210; Cleveland, 2009: 408-409

[37] Dawisha, 2009: გვ. 228

ეკუთვნოდნენ სადამის უსაფრთხოების აპარატს. 1976 წელს ალ-ბაქრმა სადამ ჰუასინს, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული სამხედრო განათლება, მიანიჭა არმიის გენერლის წოდება. ჰუსაინის ჩართვამ სამხედრო იერარქიაში შეასუსტა ალ-ბაქრის როლი. 1977 წელს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა სადამ ჰუსაინის ბოძაშვილი - გენერალი ადნან ხაირალა, რაც ნიშნავდა უშუალოდ სადამის კონტროლისათვის დაქვემდეარებას. 1978 წელს გამოიცა დეკრეტი, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ბაასის პარტიას შეეძლო ეწარმოებინა პოლიტიკური საქმიანობა შეიარაღებულ ძალებში.[38]

1975 – 1978 წწ. მიღებულ იქნა მთელი რიგი ანტიდემოკრატული კანონები მაგ. 1977 წლის №35 კანონით, ერაყის მოქალაქეობა უწყდებოდა „ყველას, ვინც მხარს უჭერდა რევოლუციისა და მისი პროგრამისადმი მტრულად განწყობილ პოლიტიკურ, ეკონომიურ ან ინტელექტუალურ ოპოზიციას“. 1977 წლიდან პროვინციების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, უსაფრთხოების ორგანოები, არმიის მეთაურები და მინისტრები ანგარიშს აბარებდნენ უკვე არა რეზიდენტ ბაქრს, არამედ უშუალოდ სადამ ჰუსაინს. 1979 წლის 17 ივლისს ბაქრი გადააყენეს ყველა პოსტიდან და შინა პატიმრობა მიუსაჯეს. სახელმწიფოსა და პარტიის მეთაური გახდა სადამ ჰუსაინი. ბაქრი 16 ივლისს ტელევიზიით გამოვიდა და გამოაცხადა თავისი გადადგომის და სადამ ჰუსაინისთვის ხელისუფლების გადაცემის შესახებ. ეს ფაქტი შეფასდა, როგორც „უსისხლო გადატრიალება“.[39] 1979 წელს ქვეყნის პრეზიდენტი სადამ ჰუსაინი გახდა. იმავდროულად მან დაიკავა პრემიერ-მინისტრის, რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის და ბაასის გენერალური მდივნის პოსტები. ქვეყანაში დამყარდა მისი აბსოლურური ხელმძღვანელობა.[40]

[38] Dawisha, 2009: გვ. 212-214; Anderson & Stansfield, 2004: გვ.59
[39] Kamrava, 2005: გვ. 174; Davisha, 2009: გვ. 213-214
[40] Anderson & Stansfield, 2004: გვ. 59

ახალი ლიდერის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი გახდა სრული პოლიტიკური, იდეოლოგიური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება ქვეყააში. შესაბამისად, სადამ ჰუსაინმა დაიწყო რეალური და პოტენციური მოწინააღმდეგეების განადგურება. სიკვდილით დასჯა ხდებოდა მოედანზე, ხალხის უზარმაზარი მასის, აგრეთვე მრავალრიცხოვანი ჟურნალისტების და დიპლომატების თანდასწრბით. რეჟიმი იყენებდა თავისი მტრების წამბის 107 სხვადასხვა მეთოდს".[41] ერთ-ერთი ექსპერტის სიტყვებით, ეს სესტემა „იყო უკიდურესად ეფექტური თავისი ერთ-ერთი ძირითადი მიზნის - მოსახლეობაში უმწეობის შეგრძნების გაჩენის თვალსაზრისით.

დიქტატორული რეჟიმისა და მისი ლიდერის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა აგრეთვე საზოგადოებრივი სტრუქტურების სრული იდეოლოგიზაცია. 1980 წლის თებერვალში მან განაცხადა, რომ ერაყი დარჩება „არაბთა მიწის" საიმედო დამცველად და ბაასის პარტია არის „რაინდი", რომელიც აღადგენს ერაყელი ხალხისა და არაბი ერის ღირსებას. სადამ ჰუსაინის ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება ხდებოდა სწორედ ხანგრძლივი ირან-ერაყის 1980-1988 წ. ომისა და 1990-1991 წ. სპარსეთის ყურის ომის დროს. 1990 წლისათვის ბაასიზმმა საბოლოოდ დაანგრია განსაძღვრუ იერარქიასა და წესრიგზე დაფუძნებული ურთიერთობათა ტრადიციული სისტემა. ერაყის ცხოვრების რეალობად იქცა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მკვლელობები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ - შეთქმულებების „გახსნა", წამებები, საჩვენებელი პროცესები.

1992 წლის ოქტომბერში სალაჰ ად-დინში (ქურთისტანი) შედგა 31 ოპოზიციური პარტიის და დაჯგუფების შეხვედრა, რომლებიც მოქმედებდნენ ერაყში და საზღვარგარეთ. მაგრამ ოპოზიციამ მაინც ვერ შექმნა ქმედუნარიანი ბლოკი.

[41] Davisha, 2009: გვ. 214; Anderson &Stansfield, 2004: გვ. 56

1999 წელს ნიუ იორკში შედგა ერაყელი ოპოზიციონერების ახალი შეხვედრა, რომელზეც შემუშავდა რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალების გაერთიანების ძირითადი პრინციპები. იმავდროულად შიიტური დაჯგუფებების უმრავლესობამ უარი თქვა თათბირში მონაწილეობაზე და უარყოფითად შეაფასა მისი ჩატარება. შიიტები ურყევად იცავდნენ თავიანთ პოზიციას, რომლის თანახმადაც ისინი უარს აცხადებდნენ აშშ-ის ეგიდით ჩატარებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებაზე და ამერიკის ნებისმიერი სახის დახმარებაზე სადამის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1999 წლის აგვისტოში სადამ ჰუსაინმა თავის მემკვიდრედ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დანიშნა მისი უმცროსი ვაჟი კუსაი, 2001 წლის აპრილში კი ის არჩეულ იქნა ბაასის გენერალური მდივნის მოადგილედ თავდაცვის პოლიტიკის დარგში. ამით ოფიციალურად განმტკიცდა მისი, როგორც ერაყის მეორე პირის, მდგომარეობა. სწორედ კუსაი ხელმძღვანელობდა რესპუბლიკურ გვადრიას, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა სადამ ჰუსაინს.[42]

2003 წლის 20 მარტს ერაყში სამხედრო მოქმედება დაიწყეს ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა, რომელთაც შეუართდნენ სხვა სახელმწიფოების სამხედრო ქვედანაყოფებიც. 2003 წლის 9 აქპილს კოალიციის ჯარებმა დაიკავეს ბაღდადი. კამპანია 43 დღე გაგრძელდა და დასრულდა 1 მაისს. საბოლოოდ, სადამ ჰუსაინის რეჟიმი დაემხო, დაწესდა სამხედრო კონტროლი და ქვეყანაში დროებით ხელისუფლება გადაეცა კოალიციურ ადმინისტრაციას. ერაყის მოვლენები აერიკამ შეაფასა, როგორც „მეწამული რევოლუცია“. ქვეყანაში დაიწყო „დებაასიზაციის“ პროცესი, რაც ითვალისწინებდა ბაასის პარტიის სრულ ლიკვიდაციას და ჰუსაინის მომხრეთა ჩამოცილებას სახელმწიფო აპარატებიდან. ერთ-ერთი კარდინალური ცვლილება, რაც მოიტანა „სამკვირიანმა ომმა“, იყო სუნიტების მრავალსაუკუნოვანი ერთპიროვნული მმართველობის დასასრული.

[42] Anderson & Stansfield, 2004: გვ. 149-150

სადამ ჰუსაინის 35 წლიანი მმართველობა ხშირად სხვადასხვაგვარადაა შეფასებული: ერთნი მასში ხედავენ პირადად სადამ ჰუსაინის დიქტატურას და პიროვნების კულტს, მეორენი ყურადღებას ამახვილებენ თიქრითის კლანის დიქტატურაზე, ხოლო მესამენი - ბაასის პარტიის როლზე. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სადამ ჰუსაინის მმართველობა იყო პოლიტიკური ხელისუფლების გადაჭარბებული პერსონალიზაცია. ჯერ კიდევ 1977 წელს სადამ ჰუსაინმა განაცხადა: „არაბი ლიდერები არ მოდიან ხელისუფლებაში ლიბერალურ-დემოკრატიული საშუალებით, ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ იმისათვის, რომ შეიძლება ხელისუფლების დატოვება მოუწიოთ ასევე არადემოკრატიული გზით“.

1960 - იან წლებში ეგვიპტის მთავრობამ დაიწო რეფორმების გატარება ,,სოციალიზმის მშენებლობა ეგვიპტეში მარქსისტული მოდელით''. 1962 წლის 6 ნოემბერს გამოცემულ იქნა პრეზიდენტ ნასერის დეკრეტი ქვეყანაში ერთადერთი მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის - არაბული სოციალისტური კავშირის დაარსების შესახებ თავჯდომარე გახლდათ - გამალ აბდელ ნასერი.[43] ეროვნული ქარტიის მიხედვით, ეგვიპტე იყო არაბული რევოლუციის შუაგულში, რათა მიეღწია თავისუფლების, სოციალიზმისა და ერთობისათვის. ეგვიპტის მოვალეობა იყო მოეხდინა რევოლუციის ექსპორტი არაბულ ქვეყნებში. [44]

გამალ აბდალ ნასერს ზოგჯერ ადარებენ ათათურქს. ორივე იყო რეფორმატორი, მაგრამ ეგვიპტის რეჟიმის დამოკიდებულება ისლამისა და რელიგიური ინსტიტუტების მიმართ განსხვავდებოდა ათათურქისგან. ნასერმა ისლამური ინსტიტუტები სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოაქცია და ჩართო ისინი არაბული რევოლუციის სამსახურში. სახელმწიფომ თავის კონტროლქვეშ მოაქცია ვაკფებიც და 1955 წელს შარიათის სასამართლოების

[43] Hopwood, Derek. Egypt: Political and Society, 1945-1984. 3rd ed. London: Routledge, 1991.

[44] Ginat, R. Egypt's Incomplete Revolution: Lutfi Al-Khuli and Nasser's Socialism in the 1960s. New York: W. H. Freeman, 1996.

გაუქმებით გაანადგურა ,,ულემთა იურიდიული ძალაუფლების უკანასკნელი ბასტიონი''. სახელმწიფოს დანიშნული ულემები წერდნენ სტატიებს ისლამსა და არაბულ სოციალიზმს შორის არსებული ჰარმონიის შესახებ. [45] 1964 წლის ახალი კონსტიტუციით, ეგვიპტე გამოცხადდა დემოკრატიულ, სოციალურ სახელმწიფოდ, რომელიც უნდა განვითარებულიყო ,,ხალხთა მასების ხელმძღვანელობით''. ნასერის პრეზიდენტობა ნიშანდებული იყო ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციით. მკვლევრები აღწერენ ნასერის რეჟიმს ტერმინებით: ,,მართული დემოკრატია'' და ,,რბილი ავტორიტარიზმი''.[46]

რეფორმების შემდგომი სტრატეგიის შემუშავებას ხელი შეუშალა გამალ აბდელ ნასერის გარდაცვალებამ 1970 წლის 28 სექტემბერს. პრეზიდენტის პოსტი დაიკავა ანვარ სადათმა (1970-1981), რომელმაც უარი თქვა ნასერის კურსზე - გაათავისუფლა ნასერის მომხრეები სახელმწიფო აპარატიდან, მოხდა სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ნაწილის დენაციონალიზაცია. პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაცია გამოიხატა სლოგანით - ,,გამოსასწორებელი მოძრაობა'' (ჰარაქათ

ათ-თაჰსინ).[47]

1971 წლის 2 სექტემბერს ეგვიპტის ადრინდელი სახელწოდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკით შეიცვალა, რაც მოიწონა სახალხო რეფერენდუმმა. 1971 წლის 11 სესექტემბერს მიიღეს ,,ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მუდმივი კონსტიტუცია'', რომელიც 1980 წლის 22 მაისის შესწორებით დღემდე მოქმედებს. ანვარ სადათის მმართველობის პერიოდში ეგვიპტის საგარეო პოლიტიკაში მოხდა კარდინალური ცვლილებები: 1972 წელს სადათმა გაწყვიტა კავშირი სსრკსთან; 1973 წლის შემოდგომაზე სადათის ინიციატივით დაიწყო არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომი, რომელსაც

[45] Cleveland, William L.A History of the Modern Middle East. 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004.
[46] Waterbury, John. The Egypt of Nasser and Sadat: The Political Economy of Two Regimes. Princeton, New Jersey: Princeton University Press, 1983.
[47] Goldschmidt, 2004: გვ. 158-159

უნდა უზრუნველეყო ისრაელის მიერ ,,ექვსდღიანი ომის'' დროს დაპყრობილი ტერიტორიების დაბრუნება და განემტკიცებინა ეგვიპტის ახალი მთავრობის ავტორიტეტი არაბულ სამყაროში. 1975 წლის 5 ივნისს გაიხსნა სუეცის არხი, რომელიც 8 წლის მანძილზე დახურული იყო ნაოსნობისთვის.[48] 1974 წელს სადათმა გამოაქვეყნა ,,ოქტომბრის დოკუმენტი'', რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ,,ღია კარის'' (ინფითაჰ) პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რაც ნიშნავდა ეკონომიკის ლიბერალიზაციას და უცხოური კაპიტალისთვის, მათ შორის აშშ-სგან თავისუფლების მინიჭებას. [49]

მოკავშირეების ცვლამ და აშკარა პროამერიკულმა კურსმა აიძულა სადათი, სხვა არაბული ქვეყნების ზურგს უკან, დაეწყო მოლაპარაკებები ისრაელთან. 1975 წლის სექტემბერში მათ შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა სინას ნახევარკუნძულის დიდი ნაწილის დაბრუნებას ეგვიპტისათვის, თუ ის დადებდა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულებას. 1977 წლის 19 ნოემბერს ანვარ სადათი ჩავიდა იერუსალიმში და დაიწყო მოლაპარაკებები მენაჰიმ ბეგინის მთავრობასთან. აშშ - ის პრეზიდენტის ჯ. კარტერის შუამავლობით, ხელშეკრულების ძირითადი მუხლები შეთანხმებულ იქნა კემპ - დევიდში 1978 წელს. საბოლოო სახით ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1979 წლის 26 მარტს ვაშინგტონში. ისრაელთან ხელშეკრულებამ გამოიწვია სადათის მკაცრი კრიტიკა, როგორც ეგვიპტეში, ისე მთელ არაბულ სამყაროში. 1979 წელს სადათმა დაითხოვა სახალხო კრება, რადგანაც მისი დეპუტატების ნაწილი გამოვიდა ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. [50]

ნასერის სისტემის პოლიტიკური დემონტაჟი დასრულდა არაბთა სოციალისტური კავშირის რეორგანიზაციით და 1980 წლის

[48] Goldschmidt, 2004: გვ. 161-165
[49] Barker, გვ. 1981: 378-384
[50] Safty, 1991: გვ. 285-298

საკონსტიტუციო ცვლილებებით. ეგვიპტის ხელისუფლების ღონისძიებები მრავალპარტიული სისტემის შესაქმნელად ატარებდა ფორმალურ ხასიათს და მიმართული იყო სოციალური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად. 1977 წლის 18-19 იანვარს ,,პურის ბუნტი'', რომელიც მიმდინარეობდა შემახილებით ,,გაუმარჯოს ნასერს!'', ,,ძირს სადათი!'' იყო გაფრთხილება პრეზიდენტისათვის. ფიასკო განიცადა 1970-იანი წლების ბოლოს სადათის მიერ განხორციელებულმა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტირების ახალმა გარდაქმნამ, რომელმაც მიიღო სახელმწოდება - ,,დემოკრატიული ექსპერიმენტი''.

სადათის დროს ოფიციალურ რიტორიკაში დაინერგა ,,დემოკრატიული სოციალიზმის'' ცნება. მან თავის ხელში მოახდინა იმდენად დიდი ძალაუფლების კონცენტრაცია, როგორიც არ ჰქონდა თვით ნასერს. 1981 წელს სადათს ჰქონდა შემდეგი თანამდებობები: რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მმართველი პარტიის თავჯდომარე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ,,უფლებამოსილება'' ყველა სამხედრო და ეკონომიკურ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნულ უსაფრთხოებასთან.'' 1981 წლის 6 ოქტომბერს კაიროს გარეუბანში - ჰელიოპოლისში სამხედრო აღლუმზე, რომელიც ეძღვნებოდა 1973 წლის ოქტომბრის ომში ,,გამარჯვების'' მერვე წლისთავს, მუსლიმმა ექსტრემისტებმა მოკლეს ანვარ სადათი. ერთი კვირის შემდეგ მმართველმა სახალხო-დემოკრატიულმა პარტიამ პრეზიდენტის პოსტზე პარლამენტში განსახილველად წარადგინა ვიცე-პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის კანდიდატურა. ჰოსნი მუბარაქი გახდა პრეზიდენტი ქვეყნისა, რომელიც მწვავე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, ჰქონდა დიდი საგარეო ვალი და იზოლირებული იყო არაბული სამყაროსგან.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ახალმა პრეზიდენტმა ფაქტობრივად გააგრძელა სადათის კურსი ,,შერბილებული ფორმით''. ჰოსნი მუბარაქიმ დაიწყო წინამორბედის შეცდომების გამოსწორება-

ეგვიპტის პრესტიჟის აღდგენა საერთაშორისო ასპარეზზე. 1984 წელს აღდგა ეგვიპტის წევრობა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში; 1987 წლიდან დაიწყო ურთიერთობების გაუმჯობესება არაბულ ქვეყნებთან, აღდგა ეგვიპტის წევრობა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში და თუნისიდან კაიროში დარუნდა ლიგის შტაბ-ბინა (1991); 1988 წელს ეგვიპტე გახდა ინიციატორი ახალი ორგანიზაციის - ,,არაბული თანამშრომლობის საბჭოს'' დაარსებისა, რომელიც შეიქმნა ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და პოლიტიკის კოორდინაციისთვის არაბულ ქვეყნებს შორის. ეგვიპტის აღდგენილი ავტორიტეტის აღიარება იყო 1989 წელს ჰოსნი მუბარაქის არჩევა აფრიკული ერთობის ორგანიზაციის თავჯდომარედ. მოგვიანებით ეგვიპტე გახდა ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობების ნორმალიზაციის შუამავალი; გაუმჯობესდა აგრეთვე ურთიერთობები სსრკ-თან. იმავდროულად ეგვიპტე იღებდა დასავლეთის ქვეყნების და მათ შორის აშშ-ს დახმარებას. ოპონენტები ხშირად აკრიტიკებდნენ ჰოსნი მუბარაქს იმ ფაქტის გამო, რომ მან გადააქცია ქვეყანა ,,ამერიკის ეგვიპტედ''.[51]

1987 წლის არჩევნები იყო ყველაზე დემოკრატიული. პირველად დაუშვეს პარტიული ბლოკების ჩამოყალიბება. ოპოზიცია ყველაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სახალხო კრებაში. 1990 - იან წლებში ჰოსნი მუბარაქიმ არაერთხელ შეზღუდა პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირებისა და პროფკავშირული ასოციაციაების აქტივობა აკრძალული იყო სახალხო დემონსტრაციები, ოფიციალურ პრესაში პრეზიდენტის კრიტიკა კანონით ისჯებოდა, სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებდა ისლამისტ მებრძოლებს და 1993 წლიდან მრავალი სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა. ეგვიპტეში 2004 წლიდან აქტიურად მოქმედებდა მოძრაობა ,,ქიფაია'' (,,კმარა'') - ,,ეგვიპტური მოძრაობა ცვლილებებისთვის'', რომელიც იბრძოდა დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლებისათვის. მოძრაობის მიზანი იყო ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან ჩამოცილება. ეგვიპტის პოლიტიკური სისტემის

[51] Cleveland, 2009: გვ. 394

დემოკრატიზაციის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩატარდა სახელმწიფო მეთაურის პირდაპირი ალტერნატიული არჩევნები. უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები მიმდინარეობდა რთულ შინაპოლიტიკურ ვითარებაში. ქვეყანა განიცდიდა სოციალეკონომიკურ კრიზისს.

ამრიგად, ეგვიპტეში ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმეი. ეგვიპტის პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქი თავის ,,მემკვიდრედ'' ქვეყნის პრეზიდენტად ამზადებდა მის ვაჟს გამალ მუბარაქის, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომელიც 2011 წელს დაიწყო, მას ამის საშუალება არ მისცა.

2.2 ეგვიპტე ერთიან არაბულ სახელმწიფოს შემადგენლობაში

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მმართველობის ფორმა მონოკრატიული რესპუბლიკის ხასიათს ატარებს, რომელშიც პოლიტიკური ხელისუფლების ძირითადი სადავეები თავმოყრილია პრეზიდენტის ხელში. უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტეში მოქმედი კანონმდებლობა ზღუდავს კონსტიტუციის ზოგადდემოკრატიული მუხლების პრაქტიკულ განხორციელებას. ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლება თეორიულად გაყოფილია პრეზიდენტსა და პრემიერ - მინისტრს შორის. პრეზიდენტი კონსტიტუციით იმავდროულად არის სახელმწიფოს მეთაური და განსაზღვრულ შემთხვევებში კონსტიტუციით მინიჭებული აქვს კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება. მას, საკანონმდებლო კრებასთან ერთად აქვს ინიციატივის უფლება. რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ ეგვიპტეში არსებობდა სამხედრო რეჟიმი. 1952 წლის 23 ივლისს სამხედროების იატაკქვეშა ორგანიზაციამ სახელწოდებით ,,თავისუფალი ოფიცრები'' ხელში აიღო ძალაუფლება. მეფე ფარუკის ჩამოგდების შემდეგ, ხელისუფლება გადავიდა რევოლუციური

ხელმძღვანელობის საბჭოს ხელში, რომელშიც შევიდა ,,თავისუფალი ოფიცრების'' ორგანიზაციის ყოფილი აღმასრულებელი კომიტეტის 12 წევრი. საბჭოს სათავეში იდგნენ გენერალი მუჰამად ნაგიბი და გამალ აბდალ ნასერი. 1953 წელს მონარქია გაუქმდა და ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა.

,,თავისუფალ ოფიცრებს'' არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა. თუმცა ძირითად მიზნად ისახავდნენ ბრძოლას ბრიტანული იმპერიალიზმის ბატონობისა და მსხვილი მიწათმფლობელების წინააღმდეგ, რომელთა ინტერესებსაც გამოხატავდა მონარქია. რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭომ განახორციელა შემდეგი პოლიტიკური ცვლილებები: პირველივე კვირაში გამოიცა კანონი პოლიტიკური პოლიციის ლიკვიდაციის შესახებ; მიიღეს კანონი კორუმპირებული ელემენტებისგან სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ; გაუქმდა ტიტულები ,,ფაშა'' და ,,ბეი'', რომლებიც არსებობდა თურქთა ბატონობის დროიდან; 1952 წლის 9 სექტემბერს მიიღეს კანონი აგრარული რეფორმის შესახებ; 1923 წლის კონსტიტუცია გაუქმდა და 1953 წელს მიიღეს პირველი დროებითი კონსტიტუცია; პარლამენტი დაითხოვეს; 1953 წლის 17 იანვარს გამოცხადდა პოლიტიკური პარტიების გაუქმება და მათი ქონების კონფისკაცია.[52] მათ ნაცვლად შეიქმნა ერთადერთი ოფიციალური პოლიტიკური გაერთიანება - განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელიც უნდა გამხდარიყო ახალი რეჟიმის დასაყრდენი; ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა საგარეო პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი - 1953 წლის 12 თებერვალს კაიროში ხელი მოეწერა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულებას, რომლითაც სუდანს მიენიჭა თვითგამორკვევის უფლება. 1953 წლის თებერვალში კი დაიდო ხელშეკრულება აშშ-სა და ეგვიპტეს შორის ,,ტენიკური დახმარების'' შესახებ. 1954 წ. მარტში სსრკ-ის მთავრობამ და ეგვიპტემ თავიანთი დიპლომატიური მისიები შეცვალეს საელჩოებით.

[52] Parrker, J. S. F. The United Arab Republic. International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944)

1954 წლის 19 ოქტომბერს ხელი მოეწერა ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულებას ინგლისის არმიის ევაკუაციის შესახებ 20 თვის განმავლობაში. 1955 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა შეთანხმებას (საბჭოთა) იარაღის მიწოდებაზე ეგვიპტისთვის ჩეხოსლოვაკიიდან. ამავე წლის 20 ოქტომბერს დაიდო თავდაცვითი ხელშეკრულება სირიასთან და 27 ოქტომბერს - საუდის არაბეთთან. მომდევნო წლის მარტში შედგა თავდაცვის ხელშეკრულების მონაწილე სამი ქვეყნის სამიტი, ხოლო 1956 წლის აპრილში ამ ხელშეკრულებას შეუერთდა იემენი.[53] 1953 წლის შუა ხანებში აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირება ნაგიბსა და ნასერს შორის. ნაგიბი, რომელსაც არ ჰქონდა ისეთი პოლიტიკური გავლენა, როგორიც ნასერს, ეყრდნობოდა პარტია ვაფდ-ს და ,,მუსლიმი ძმების'' ასოციაციას. 1954 წლის იანვარში განთავისუფლების ორგანიზაციის მომხრეებსა და ,,მუსლიმი ძმების'' ასოციაციის წევრ სტუდენტებს შორის სისხლიანი შეტაკებისა და ნასერზე ასოციაციის წევრების წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ, ოქტომბერში ,,მუსლიმი ძმების'' ასოციაციას სასტიკად გაუსწორდნენ (მისი 6 ლიდერი სიკვდილით დასაჯეს, ათასობით წევრი დააპატიმრეს). საბოლოოდ, ,,თავისუფალი ოფიცრების'' უმრავლესობა განუდგა ნასერს, რომელსაც რადიკალური ღონისძიებების გატარება სურდა დეკოლონიზაციისათვის, მრეწველობის განვითარებისა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის.[26] 1955 წელს ბაღდადის პაქტის შექმნა (წევრები - თურქეთი, ირანი, პაკისტანი, ერაყი და ბრიტანეთი) ეგვიპტის მიერ შეფასდა, როგორც ,,არაბული ინტერესების'' ღალატი, რადგანაც მასში შემავალი ქვეყნების ნაწილი არაარაბული ქვეყნები იყვენენ, ამიტომაც ეგვიპტე, სირიასთან ერთად სათავეში ჩაუდგა კამპანიას ბაღდადის პაქტში არაბული სახელმწიფოების ჩართვის წინააღმდეგ. ბანდუგის კონფერენციის (1955 წლის 18-24 აპრილი) შემდეგ, რომლის მონაწილეთა უმრავლესობა გამოვიდა ანტიიმპერიალისტური პოზიციებით და მშვიდობიანი

[53] Goldschmidt, 2004: 118-119; Cleveland, 2009: გვ. 307-310

თანაარსებობისთვის, ნასერი გახდა ,,პოზიტიური ნეიტრალიზმის'' ბლოკის ლიდერი.

1958 წლის თებერვლის დასაწყისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ეგვიპტისა და სირიის გაერთიანების შესახებ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდა პლებისციტი, რომელზედაც ორივე ქვეყნის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა გამალ აბდალ ნასერის დანიშვნას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტად. გაერთიანების ძირითადი მიზეზი გახდა პანარაბული ნაციონალიზმის იდეა. ვარაუდობდნენ, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა გახდებოდა მომავალი ერთიანი არაბული სახელმწიფოს საფუძველი. კაიროს და დამასკოს გაერთიანებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1956 წელს სამმაგმა აგრესიამ (ინგლისი, საფრანგეთი, ისრაელი) ეგვიპტის წინააღმდეგ და სირიაზე ზეწოლამ, რომელსაც ახორციელებდნენ მეზობელი ისრაელი, ერაყი და თურქეთი.[54]

გარდამავალ პერიოდში რესპუბლიკა შედგებოდა ორი რაიონისგანჩრდილოეთის (სირიული) და სამხრეთის (ეგვიპტური), დედაქალაქად არჩეულ იქნა კაირო. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საფუძველი გახდა მმართველობის ეგვიპტური სისტემა - სამხედრო რეჟიმი, რასაც მოჰყვა სირიაში პოლიტიკური პარტიების გაუქმება, სირიელი ოფიცრების დათხოვნა და სხვა იძულებითი ღონისძიებები (მიწის რეფორმა, ეგვიპტური კაპიტალის ექსპანსია, მკაცრი კონტროლის დაწესება ვალუტის გაცვლაზე და სხვა). არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ იარსება მხოლოდ 1961 წლის სექტემბრამდე. მისი დაშლა განაპირობა მასშტაბური პოლიტიკური ექსპერიმენტის ნაჩქარევმა და გაუთვლელმა განხორციელებამ, ასევე დიდმა განსხვავებამ ამ გაერთიანებული სახელმწიფოს ორი ნაწილის პოლიტიკურ სისტემებში.[55]

---

[54] Kamrava, Mehran. The Modern Middle East: A Political History since the First World War. Berkeley: University of California Press, 1978.

[55] Parrker, J. S. F. The United Arab Republic. International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944),

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას უნდა შეერთებოდა ერაყიც, რომელიც ბაღდადის პაქტის წევრი ქვეყანა იყო 959 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ერაყის 1958 წლის რევოლუციის შემდგომ, როდესაც მონარქია დასრულდა ამ ქვეყანაში, შეიცვალა მისი საგარეო პოლიტიკური კურსიც. ერაყმა უარი თქვა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წევრობაზე და ფაქტობრივად მასში მხოლოდ ორი სახელმწიფო სირია და ეგვიპტე აღმოჩნდნენ გაერთიანებულნი. 1971 წლის 2 სექტემბერს ეგვიპტის ადრინდელი სახელწოდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა შეიცვალა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკით, რაც მოიწონა სახალხო რეფერენდუმმა.[56] ამრიგად, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ხანმოკლე აღმოჩნდა, ამისი მიზეზი უნდა იყოს პანარაბიზმის იდეის სისუსტე. პანარაბულ იდეას მხოლოდ მე-20 საუკუნის 50 წლებში არ უჩენია თავი. ის მანამდეც არაერთხელ გამომჟღავნდა ცალკეული არაბი ლიდერების მიერ, მაგრამ ყოველთვის სისუსტით გამოირჩეოდა. მართალია, არაბულ ქვეყნებს აერთიანებთ ეთნოსი ,,არაბი'', მაგრამ თითოეული ეს არაბული ქვეყანა წინა პლანზე მაინც საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობას აყენებს, რაც კარგად გამოჩნდა ეგვიპტისა და სირიის მაგალითზე. ამ ორმა ქვეყანამ ვერ გაიყო პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი, ორივე ქვეყანას თავი ლიდერად წარმოედგინა და ერთმანეთს პირველობა ვერ დაუთმეს, რამაც პანარაბიზმის იდეა უკანა პლანზე გადაანაცვლა, უფრო მეტიც, მათ მხარდაჭერა ვერ მიიღეს დანარჩენი არაბული ქვეყნებიდანაც. ფაქტობრივად, ეს იყო კიდევ ერთი კრახი პანარაბიზმისა.

2.3 ისლამისტების გააქტიურება ერაყსა და ეგვიპტეში

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ისლამური ფაქტორის გავლენა მუსლიმური ქვეყნებსა და მიმდებარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ისლამისტური მოძრაობის რადიკალიზაცია

[56] „United Arab Republic“. ENCYCLOPEADIA BRITANNICA. 2014. https://www.britannica.com/place/United-Arab-Republic

აიხსნება არა ისლამისათვის დამახასიათებელი აგრესიულობით, არამედ კონკრეტული სოციალ-პოლიტიკური მიზეზებით.

ისლამური რადიკალიზმი - ეს არის ერთობლიობა სოციალ-პოლიტიკური იდეებისა და მოქმედებების, რომლებიც მიმართულია ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუტების და მთლიანად პოლიტიკური სისტემის ძირეულად შესაცვლელად. ისლამური ნაციონალიზმის წიაღში წარმოიშვა ისლამიზმი, რომელიც ნაციონალიზმის დასუსტებასთან ერთად გაძლიერდა. ტერმინი ისლამიზმი იხმარება იმ სხვადასვა სახისა და მიმართულების ორგანიზაციების აღსანიშნავად რომლებიც ისლამში უპირველესად პოლიტიკურ იდეოლოგიას ხედავენ და მთავარ ყურადღებას ხელისუფლების საკითხს აქცევენ. ისლმაიზმის მთავარი იდეა იუო ისლამის რგოგრც უნივერსალური რელიგიის რლის განმტკიცება, რომელსაც უნდა გადაეჭრა თანამედროვე საზოგადეობის ყველა პრობლემა. მკველევართა აზრით სწორედ აქ გაჩნდა კონფლიქტი ორ ძალა შორის: პირველი განვითარების თანამედროვე პოლიტიკურ მოდელებს ანიჭებდა პრიორიტეტს ხოლო მეორე მხარს უჭერდა ტრადიციულ სულიერ ფასეულობებს.[57]

ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების“ შექმნით იწყება თანამედროვე ისლამიზმის ანუ პოლიტიკური ისლამის ისტორია, რომლის ფუძემდებელიც ჰასან ალ ბანნაა.[58] 1928 წელს ექვს თანამოაზრესთან ერთად ჰასან ალ-ბანამ დააარსა საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა: ისლამური ფასეულობების ქადაგება და ახალგაზრდა თაობის აღზრდა ისლამური სულისკვეთებით; ისლამის განმტკიცება მსოფლიო მასშტაბით, რომლის მისაღწევად აუცილებელია ბრძოლა (ჯიჰად) ყველა არსებული საშუალებით დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გავლენასთან, ეგვიპტის უცხოეულ ოკუპაციასთან. „მუსლიმი ძმების“ მოძრაობა ოფიციალურად დარეგისტრირდა 1930 წელს. „მუსლიმი ძმების“

[57] R.Fazlur, Oxford: Oneworld 2003: გვ. 137; Milton-Edwards Beverley, 2004.

[58] თ. ქაროსანიძე, „პერსპექტივა“, 2009. გვ. 14-25

ასოციაციამ, თავისი განვითარების მანძილზე, გაიარა 4 ძირითადი ეტაპი: რელიგიური განათლების, რომლის კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო ყურანი, ხოლო სამართლებრივი სისტემა ტერიტორიულად უარყოფდა ნაციონალიზმს დასავლური გაგებით. ალ-ბანა რეალისტი იყო და პატივს სცემდა ადამიანის სიყვარულს თავისი ქვეყნისადმი.

ჰასან ალ-ბანას იდეებს ფართო გამოძახილი მოჰყვა ეგვიპტის საზოგადოებაში. ასოციაციის ავტორიტეტის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა სოციალურმა სამუშაოებმა - 1931 წელს საერთო სახსრებით დაიწყეს ახალი მეჩეთის მშენებლობა და ამას მოჰყვა სხვა მეჩეთების და სკოლების მშენებლობა, შემოწირულობების შეგროვება უქონელთათვის. ასოციაციის სტრატეგიაში გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები: 1. მოძრაობის გეოგრაფიის გაფართოება და ნილოსის დელტის ფარგლებს გარეთ გასვლა ეგვიპტის დანარჩენ რაიონებში; 2.ნეიტრალური თანაარსებობის კურსი ქვეყნის ყველა პოლიტიკურ ძალასთან; 3. აქტიური პროპაგანდისტული სამუშაო, სკოლებისა და წრეების ორგანიზება, საკუთარი საგამომცემლო ბაზის შექმნა, გაზეთების გამოშვება; 4. სოციალური სამუშაო საზოგადოებაში, იზოლაციის უარყოფა და ხალხთა მასებში სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმებით მუშაობა; 5. მოძრაობის ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება და სხვადასხვა პროპაგანდისტული მეთოდების გამომუშავება.[59]

„მუსლიმი ძმების“ გავლენა სწრაფად გაიზარდა. მალე ისინი ფლობდნენ ფილიალებს მთელ ეგვიპტეში და მის ფარგლებს გარეთ - სირიაში, პალესტინაში, ტრანსიორდანიაში და სხვა ქვეყნებში. მათ ჰქონდათ თავიანთი ტიპოლოგია; მათ საკუთრებაში იყო სამრეწველო საწარმოები, რომელთა შემოსავლები მიდიოდა მათი საქმიანობის დაფინანსებაზე. სულ მალე ასოციაცია მონარქიულ ეგვიპტეში გახდა ყველაზე ძლიერი

[59] B. Lia, Garnet, 1998: გვ. 97-98

ოპოზიციური ძალა, რომელსაც ჰქონდა ფართო სოციალური დასაყრდენი საზოგადოების დაბალ და საშუალო ფენებში.[60]

1954 წლის ივლისში ასოციაციამ გააკრიტიკა ანგლო-ეგვიპტური შეთანხმება სუეცის არხზე და იმავე წელს განახორციელა თავდასხმა პრეზიდენტ ნასერზე. „მუსლიმი ძმები“ დაადანაშაულეს პრეზიდენტზე თავდასხმაში და ამის შემდეგ ხელისუფლების აქტიური ბრძოლა დაიწყო „მუსლიმ ძებთან“. მიღებულ იქნა კანონი ასოციაციის აკრძალვაზე, რომელიც დღემდე არ გაუქმებულა. ასოციაციის მრავალი წევრი აღმოჩნდა ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში. სხვები იძულებული გახდნენ იატაქვეშა საქმიანობა დაეწყოთ ან ემიგრაციაში წასულიყვნენ.[61] ხელისუფლებაში ანვარ სადათის მოსვლის შემდეგ, მრავალი პოლიტ პატიმარი შეიწყალეს. გაუმჯობესდა ხელისუფლებასა და „მუსლიმ ძმებს“ შორის ურთიერთობა. მაგალითად, კონსტიტუციაში ჩართულ იქნა მუხლი შარიათზე, როგორც კანონმდებლობის ძირითად წყაროზე. „მუსლიმი ძმების“ წამყავნმა თეორეტიკოსებმა, პრეზიდენტ ანვარ სადათის მიწვევით, მონაწილეობა მიიღეს 1971 წელს მიღებული კონსტიტუციის შემუშავებაში. თუმცა, მათ ვერ მოახერხეს თავიანთი ფორმულირებების დიდი ნაწილის ჩართვა კონსტიტუციის ტექსტში. შემდეგი მცდელობა იყო პარლამენტში განსახილველად მთელი რიგი კანონპროექტების წარდგენა, მათ შორის: შარიათით გათვალისწინებული სასჯელების შემოღება, სახელმწიფო დაწესებულებებში ყურანის სავალდებულო სწავლების შემოღება, ქალთა სამოსის რეგლამენტაცია, სქესთა სეგრეგაცია, ალკოჰოლით ვაჭრობის აკრძალვა და სხვ.

1977 დაიწყო „მუსლიმი ძმების“ მიერ ხელისუფლების მკაცრი კრიტიკა. ამის მიზეზი გახდა „მუსლიმი ძმების“ ასოციაციისათვის უარის თქმა რეგისტრაციაზე, როგორც პოლიტიკური გაერთიანების დაარსება რელიგიურ საფუძველზე. ისლამისტებთან ურთიერთობა საბოლოოდ

[60] Anti-American terrorism, 2002: გვ. 27-28
[61] Aly and Wenner, 1982: გვ. 341-342; Mitchell, 1969: გვ. 88-91

გაუარესდა 1979 წელს, ისრაელთან სეპარატული ზავის ხელმოწერის შემდეგ. ამ დროისათვის „მუსლიმი ძმების“ ასოციაციას გამოეყო მთელი რიგი ექსტრემისტული დაჯგუფებები, მათ შორის ჯიჰადი და ათ-თაქფირ ვალ-ჰიჯრა რომლებიც იყენებდნენ ტერორისტულ მეთოდებს. სადათის დაპირისპირება ამ ექსტრემისტებთან დამთავრდა მის საზიოანოდ - 1981 წლის ოქტომბერში სამხედო აღლუმის დროს, ოქტომბრის ომის დაწყების მორიგ წლისთავზე, სადათი მოკლა ჯიჰადის წევრმა ხალიდ ისლამბულიმ.[62] ჰოსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდში ისლამისტებთან დამოკიდებულებაში მოხდა დამსჯელი ღონისძიებებისა და გარკვეული შეღავათების შერწყმა. „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაცია აკრძალა, მაგრამ ფაქტობრივად მის არსებობას არავინ ეწინააღმდეგებოდა. ასოციაცია მუბარაქის დროს გადაიქცა პარლამენტური ტიპის პოლიტიკურ პარტიად და უარი თქვა ძალისმიერ მეთოდებზე. ოფიციალური აკრძალვის მიუხედავად, 1984 წლიდან „მუსლიმი ძმები“ მონაწილეობდნენ არჩევნებში, წარადგენდნენ თავიანთ დამოუკიდებელ კანდიდატებს ან სხვა ლეგალური პარტიის სიებით 2005 არჩევნებში გაიმარჯვა „მუსლიმი ძმების“ 88 კანდიდატმა. შესაბამისად, „ძმებმა“ მიიღეს საერთო მანდატების 20%. ასოციაციის სოციალური დასაყრდენი აქვს ეგვიპტური საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში. ასოციაცია გახდა ყველაზე დიდი და გავლენიანი ოპოზიციური ძალა ეგვიპტეში.

2007 წელს გამოქვეყნდა „მუსლიმი ძმების“ პროგრამა, სადაც ძირითადი აქცენტები გადატანილია ეგვიპტის სახელმწიფო სისტემის რეფორმების აუცილებლობაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე. ძალა ხალხის ხელშია და სახელმწიფო უბრალოდ მუსლიმური თემის ნდობით აღჭურვილი სუბიექტია. ბოლო 5 წლის მანძილზე „მუსლიმი ძმები“ დილემის წინაშე იდგნენ: ან დამოუკიდებლად ებრძოლათ ხელისუფლებისათვის მმართველ რეჟიმთან ან

[62] G. Kepel, University of California Press, 1984: გვ. 101, გვ. 122-125; C. Wickham, New York: Basic Books2002: გვ. 65, გვ. 96

ჩამოეყალიბებინათ კოალიცია სამოქალაქო ოპოზიციის პოლიტიკურ ძალებთან.

პირველად 2008 წლის 18 მარტს ეროვნულ კრებაში მოხდა პარლამენტის ყველა ოპოზიციური ძალების გაერთიანება, რათა ჩაეტარებინათ ერთობლივი საპროტესტო აქციები - ისინი გამოვიდნენ ქუჩაში პლაკატებით და გააკრიტიკეს ხელისუფლება. 2010 წლის დეკემბის საპარლამენტო არჩევნებში „მუსლიმმა ძმებმა“ მიიღეს მხოლოდ ერთი სადეპუტატო მანდატი.[63] ამჟამად „მუსლიმი ძმების“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა მაჯლის აშ-შურა ალ-ამმი. ის ირჩევს უვადო უმაღლეს მოძღვარს, რომლის უფლებამოსილება წყდება მისი უუნარობის ან სიკვდილის შემთხვევაში.

“მუსლი მიძმების“ ასოციაციამ სათავე დაუდო სუნიტურ ფუნდამენტალისტურ მოძრაობას და დაჯგუფებებს მრავალ ქვეყანაში ეგვიპტის ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა, არაბულ ქვეყნებში - სირიაში, პალესტინაში, იორდანიაში, სუდანში, თუნისში და სხვ. ტერმინი „მუსლიმი ძმები“ დღეს არ არის კრებითი სახელწოდება სხვადასხვა ორგანიზაციების, რომლებიც მოქმედებს ამ სახელით არაერთ მუსლიმურ ქვეყანაში. დღეისათვის „მუსლიმი ძმების“ შემდგომი პოზიცია ბევრადაა დამოკიდებული ეგვიპტის შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. 2012 წელს „მუსლიმი ძმები“ ეგვიპტის ხელისუფლებაში მოვიდნენ ქვეყნის პრეზიდენტი კი, მათი ერთ-ერთი კანდიდატი მუჰამედ მურსი გახდა.

[63] C. Wickham, New York: Basic Books, 2002: გვ. 36-62, გვ. 75-87; გვ. 164-171

თავი III ერაყსა და ეგვიპტეში ავტორიტარიზმის დასრულების მიზეზები და და დამოუკიდებელი პროცესების განვითარება.

3.1 ერაყ-აშშ-ს ურთიერთობების დაძაბვა და 2003 წლის ომი

11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა ერაყი დაასახელა შეირაღებული თავდასხმის კიდევ ერთ სამიზნედ მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ადმინისტრაციას არ გაუკეთებია რაიმე განცხადება იმის შესახებ, რომ ის ფლობს საიმედო მტკიცებულებას ამ ტერორისტულ აქტებზე ერაყის პასუხიმგებლობის დასადასტურებლად. აშშ გადავიდა აგრესიულ პოლიტიკაზე ერაყის მიმართ და დაიწყო ერაყის სრულმასშტაბიანი დაპყრობის სამართლებრივად გამართლება, რამაც სერიოზული გავლენა იქონია ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვის სავალდებულოობაზე. 11 სექტემბრის ტრაგედიიდან მალევე აშშ ავღანეთში შევიდა – მოტივი კი ის იყო, რომ „თალიბანი“, უარს ამბობდა “ალ-ქაიდას“ ლიდერის, ოსამა ბინ ლადენის, გადმოცემაზე და დაჯგუფების სხვა წევრების ქვეყნიდან გაძევებაზე ან ლიკვიდაციაზე. ბევრისთვის მოულოდნელად „თალიბანმა“ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გასწია და რამდენიმე კვირაში მისი საკითხი გადაწყდა.[64]

ამ მოვლენების შემდეგ ომისკენ მიმავალი გზა უკვე ნათლად გამოჩნდა. ერაყში შეიარაღებული კონფლიქტის ახალი კერის შექმნა არ ყოფილა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ აშშ-ის გადაწყვეტილებას,

[64] რ. თვალავაძე. „ბუშის დოქტრინა მოქმედებაში – ერაყის ომი – დასაწყისი“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

წამოეწყო ყოვლის მომცველი ომი ტერორის წინააღმდეგ. ერაყის ომი, შეიძლება ითქვას, ავღანეთში დაწყებული ომის გაგრძელებაა და იმავე მიზნების გაფრთოებასა და რეალიზაციას ემსახურება. 2003 წლის თებერვალშივე დაიწყო ანტი-საომარი კამპანიები მთელ მსოფლიოში, მასშტაბური გამოსვლები იყო ნიუ-იორკში, ლონდონში, პარიზში. საფრანგეთის პრეზიდენტმა საჯაროდ უარი თქვა ომის მხარდაჭერაზე, მას შეუერთდა რუსეთიც. ასე რომ, გაეროს უშიშროების საბჭოზე კიდევ ერთხელ საკითხის გატანამ ყოველგვარი აზრი დაკარგა.

2003 წლის 17 მარტს ბუშმა საჯარო მიმართვაში ულტიმატუმი წამოაყენა: „სადამ ჰუსეინმა და მისმა ვაჟებმა უნდა დატოვონ ერაყი 48 საათში. თუ ისინი უარს იტყვიან ამის გაკეთებაზე, შედეგი იქნება სამხედრო კონფლიქტი.“ ჰუსეინმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა, ბაღდადის დროით დილის 5:30 სთ – ზე ომი დაიწყო.[65] 2003 წლის 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21 დღის შემდეგ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე. ერაყში შეჭრიდან რამდენიმე კვირაში ძირითადი საბრძოლო მიზნები უკვე მიღწეული იყო. ბაღდადი აპრილის შუა პერიოდისთვის უკვე კოალიციის ხელში გადავიდა, სადამ ჰუსეინმა კი გაქცევით უშველა თავს. იდეაში სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო ახალი, დემოკრატიული ერაყის შექმნა, რომელიც ერთად აცხოვრებდა როგორც შიიტებსა და სუნიტებს, ისე ქურთებს. ომის წამოსაწყებად გამოყენებული ბრალდება ერაყის მიმართ მასობრივი განად- გურების იარაღის არსებობის შესახებ ვერ დადასტურდა ომის დასრულების შემდე- გაც. რამდენიმეკვირიანი ბრძოლისა და ბაღდადის წარმატებით დაკავების შემდეგ, აშშ-ს სამხედრო კამპანიის წარმატება საპირისპირო მხარეს წავიდა. ამერიკის სამხედრო ძალები ერთგვარად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ ომის შემდგომი მოვლენებისათვის. მაროდიორებმა გაძარცვეს ერაყის

[65] რ. თვალავაძე. „ბუშის დოქტრინა მოქმედებაში – ერაყის ომი – დასაწყისი“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

სამთავრობო შენობების უმრავლესობა. ერაყი ქაოსში გაეხვა, რადგან ამერიკის მხრიდან საჭირო რაოდენობის სამხედროთა მობილიზება არ განხორციელდა. ერაყის არმია დაითხოვეს – ისინი ჩვეულებრივ მოქალაქეებში გაითქვიფნენ და დამატებითი საფრთხე შექმნეს. ერაყელები კი გახდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის მომსწრენი, მაგრამ ამერიკამ ვერ მოახერხა რაიმე სახის სამთავრობო სისტემის ჩამოყალიბება. ამერიკელი სამხედროები გამოცდილი მეამბოხეების მხრიდან თავდასხმების ქვეშ მოექცნენ. სწორედ ამ ქაოსში ერაყში დაიწყო ფუნდამენტური ისლამისტი ლიდერების შესვლა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ტერორისტულ მიმდინარეობებს. ყოველ- დღიურმა „დაბომბვებმა“ ტალღასავით გადაუარა ერაყს. [66]

ერაყში სიტუაცია უკიდურესად დამძიმდა. უსაფრთხოების ძალების არარსებობის პირობებში მასობრივად დაიწყო სამოქალაქო შენობებისა და მაღაზიების ძარცვა, არ მუშაობდა საავადმყოფოები. საჭიროება დადგა უსწრაფესად დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებისა, რაზეც მუშაობა გარნერმა დაიწყო. მან შეკრიბა იქამდე ოპოზიციაში მყოფი ლიდერები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში იყვნენ გაფანტულნი: ადნან ფაჩაჩი, აჰმედ ჩალაბი, მოვაკაფ ალ-რუბაიე, პლუს ქურთისტანის მმართველები, რომლებიც აშშ – ს დაცვის ქვეშ ცხოვრობდნენ გასული დეკადის განმავლობაში. გარნერმა სიტუაციის მოწესრიგებისა და დროებითი მთავრობის შერჩევისთვის სამი თვე ითხოვა, თუმცა ვაშინგტონს ბევრად მოკლე დროში უნდოდა შედეგი.

ვაშინგტონში თავდაპირველად არსებობდა რწმენა, რომ არმია სწორედ ის სტრუქტურა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ინტერვენციის შემდეგ სტაბილურობა უნდა შეენარჩუნებინა. თუმცა 2003 წლის 23 მაისს გამოვიდა გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სრულად იშლებოდა

[66] Jervis 2011: Jervis, Robert. Explaining the War in Iraq. In: Why Did The United States Invade Iraq? Editors: Janne K. Cramer, Trevor A. Thrall. London: Routledge, 2011, eBook.გვ 189-210

უსაფრთხოების ძალები. საერთო რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც უწყების გარეთ დარჩნენ – 385 ათასი ჯარისკაცი იყო. როცა არმია დაიშალა, ეს ბევრისთვის იმის გამოცხადებას ნიშნავდა, რომ აშშ უკვე ოფიციალურად იყო ოკუპანტი სახელმწიფო და ზომიერი პოლიტიკური ძალებიც კი, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ, ამერიკელების წინააღმდეგ განეწყვნენ. გაჭინაურდა ახალი კონსტიტუციის მიღების საკითხიც. შიიტების რიგებში გამოჩნდა ახალი რადიკალი ლიდერი მუქთადა ალ – სადრი, რომელიც მოუწოდებდა ამერიკელებს სასწრაფოდ დაეტოვებინათ ერაყი – მას მომხრეები მთელ შიიტურ სამხრეთში ჰყავდა.

2004 წლის მარტში ქალაქ ფალუჯადან საზარელი კადრები გავრცელდა, რომელიც ასახავდა თუ როგორ შეურაცხყოფდნენ გარდაცვლილ ამერიკელ ჯარისკაცებს ერაყელი მებრძოლები. აშშ – ს პასუხი სასტიკი იყო, შემდეგი რამდენიმე კვირის განმავლობაში ასობით ერაყელი იქნა მოკლული. ამას დაემატა აბუ-გრეიბის ციხიდან გავრცელებული კადრები, სადაც ამჯერად უკვე დაპატიმრებულებს ამერიკელები შეურაცხყოფნენ. ამ მოვლენებმა შედეგად მოიტანა ის, რომ იქამდე შეუძლებლად წარმოსადგენი – სუნიტებისა და შიიტების თანამშრომლობა – რეალობა გახდა. ისინი კოორდინირებულად მოქმედებედნენ კოალიციური ჯარების წინააღმდეგ.

2004 წლის 28 ივნისს პრემიერად დაინიშნა აიად ალავი, იქამდე ლონდონში დევნილი ოპოზიციონერი, რომელიც იდეაში სექტარიანული პოლიტიკის ოპონენტი იყო. თუმცა ალავის კეთილგანწყობა არც შიიტებში ჰქონდა და არც სუნიტებში. 2005 წლის იანვარში კი ჩატარდა არჩევნები, რომელმაც ხელისუფლებაში ღიად შიიტური ისლამისტური ძალები მოიყვანა, იბრაჰიმ ალ-ჯაფარის ხელმძღვანელობით.[67] ჯაფარიმ ნაცვლად შემრიგებლური რიტორიკისა და სუნიტური ძალების მაქსიმალურად

[67] ,,ერაყი განვითარების ახალი ეტაპის პერსპექტივის წინაშე'', პოლიტფორუმი, 2011. http://politforumi.com/geo/953/erayi-ganvitarebis-axali-etapis-perspeqtivis-cinashe.html

ჩართვისა ხელისუფლებაში, სექტარიანული პოლიტიკა გაამძაფრა. 2005 წელს არაერთ სუნიტურ ოჯახზე იქნა თავდასხმა განხორციელებული, დაზარალებულები კი ამტკიცებდნენ, რომ მათ წინააღმდეგ, სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრუქტურებში დასაქმებულები მოქმედებედნენ. ჯაფარი აგრესიას „ალ-ქაიდასთან“ ბრძოლით ამართლებდა და ამტკიცებდა, რომ ესეთი ნაბიჯები აუცილებელი იყო. მისი პოლიტიკის შედეგად სუნიტები სრულად გაუცხოვდნენ, „ალ-ქაიდამ“ კი დაინახა შესაძლებლობა სიტუაცია გამოეყენებინა და მთავრობის ჩამოსაშლელად სამოქალაქო დაპირისპირებისთვის მიეცა იმპულსი.[68]

2006 წელს შიიტთათვის ერთ – ერთი ყველაზე წმინდა ადგილი – ალ-ასკარის მეჩეთი ააფეთქეს, აქტზე პასუხისმგებლობა „ალ-ქაიდამ“ აიღო. შიიტებმა საპასუხოდ რევანშისტული მოქმედებები კიდევ უფრო გაამძაფრეს – ასობით მსხვერპლი ერაყის მრავალ ქალაქში, სახეზე იყო სამოქალაქო ომი შიიტებსა და სუნიტებს შორის. 2006 წელს გახურებულმა სამოქალაქო ომმა ტემპი მალე აკრიფა და ბაღდადის ქუჩები საომარ ველს დაემსგავსა. დადგა აუცილებლობა ახალი ლიდერის შერჩევის, რომელიც იმავე პოლიტ. ალიანსის წევრი უნდა ყოფილიყო და უკმაყოფილება არც შიიტებსა და არც სუნიტებში არ უნდა გამოეწვია.

აქედან იწყება დიდი ცვლილება ერაყის ომში. „ალ-ქაიდას“, უკვე აღარ ემორჩილება მისი სუნიტური ბაზა, ისინი კავშირებს ამერიკულ ძალებთან აბამენ. ამასთან, მათი ორგანიზებისა და დაფინანსების მცდელობები დაიწყო ამერიკელთა მხრიდანაც. სანაცვლოდ, სუნიტური ძალებს ადგილზე უნდა შეენარჩუნებინათ უსაფრთხოება, არ გაეტარებინათ ძალადობა შიიტების მიმართ და დაეცვათ საკუთარი უბნები „ალ-ქაიდასგან“. შედეგად ათასობით სუნიტი, რომლებიც კოალიციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი, ხელფასს უკვე სახელმწიფოსგან იღებდა, მოხდა მათი მიერთება ერაყული უსაფრთხოების ძალებისთვის – სუნიტები

[68] რ. თვალავაძე. „ერაყის ომი-ჩავარდნილი მისიის მიზეზები“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/10/iraq-war-failed-mission/

დარწმუნდნენ, რომ ერთიან ერაყში მათ შეეძლოთ საკუთარი ადგილი ჰქონოდათ. ამას გარდა, ისინი ამერიკელებს ინფორმაციას აწვდიდნენ „ალ-ქაიდას“ სამხედრო პუნქტებისა და სამალავების შესახებ. ტერორისტული დაჯგუფება უკვე ყოველდღიურად უდიდეს დანაკარგებს განიცდიდა.

ერაყის კრიზისის ახალი ფაზა დაიწყო 2002 წლის 8 ნოემბერს,როდესაც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1441 რეზოლუცია,რომლის შეთანხმებითაც მიმდინარეობდა ორი კვირის განმავლობაში.უშიშროების საბჭო ერაყის მთავრობისაგან მოითხოვდა თანამშრომლობას „გაერო-ს დაკვირვების, კონტროლისა და ინსპექციის კომისიის“ ინსპექტორებთან და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან.მათ უნდა შეემოწმებინათ ყველა ის ობიექტი, სადაც არსებობდა ეჭვი,რომ ინახებოდა ან მზადდებოდა მასობრივი განადგურების იარაღი.გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის განცხადებით 1441 რეზოლუციაში ნათლად არის აღნიშნული,რომ მოთხოვნები უნდა შესრულდეს. თუ ერაყი გააგრძელებს გამომწვევ ქცევას გაერო-ს მიმართ,უშიშროების საბჭო იძულებული იქნება დადგეს თავისი ვალდებულებების დაცვის სადარაჯოზე. მიღებული რეზოლუციის თანახმად ერაყს უნდა უზრუნველეყო საერთაშორისო ინსპექტორების შეუფერხებელი დაშვება ყველა ობიექტზე, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, პრეზიდენტის სასახლის ჩათვლით. მიღებული დოკუმენტის მიხედვით, თუ ერაყი არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას, უნდა შეკრებილიყო გაეროს უშიშროების საბჭო შექმნილი ვითარების განსახილველად, ძალის გამოყენება კი შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ უშიშორების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. რაც შეეხება ერაყს, მას უნდა მოეწონებინა რეზოლუციის ტექსტი გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში რადგანაც საერთაშორისო ინსპექტორებს მუშაობა უნდა დაეწყოთ 2003 წლის 23 დეკემბრამდე.[69]

[69] Barstow, Broad, Gerth 2004: Barstow, David; Broad, William J. and Gerth, Jeff. How White House Embraced Suspect Iraq Arms Intelligence. The New York Times. October 3, 2004. Accessed on May 25, 2015გვ 150-152

2008 წლის დასაწყისში ერაყში ძირითადად უკვე სტაბილურობაა. სწორედ ამ დროიდან იწყებს ალ-მალიკი საუბარს ამერიკელების გასვლაზე, მან საკუთარი თავის ირწმუნა და დაიჯერა, რომ სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ საკუთარი უსაფრთხოების ძალებით უკვე შეეძლო მთელი ერაყის კონტროლი. მართლაც წლის ბოლოს, 14 დეკემბერს ჯორჯ ბუში კიდევ ერთხელ ჩადის ბაღდადში და ხელს აწერს ხელშეკრულებას ამერიკული ძალების გასვლის შესახებ. შეთანხმების მიხედვით ერაყის ქალაქებიდან ამერიკული ძალების გამოსვლა უნდა დასრულებულიყო 2009 წლის 30 ივნისისთვის, ხოლო მათი მთლიანად გაყვანა ერაყიდან უნდა მომხდარიყო 2011 წლის 31 დეკემბრამდე. 2011 წლის 15 დეკემბერს, ერაყის ვიცე – პრემიერის შენობას უსაფრთხოების ძალები არტყამენ ალყას, მათ შორისაა ტანკები და საბრძოლო მანქანები. იმავე პერიოდში ბაღდადში ჩადის, უკვე CIA-ს დირექტორის რანგში მყოფი დევიდ პეტრეუსი, რომელიც მოგვიანებით იტყვის, რომ მალიკის მიერ გადადგმული ნაბიჯები სუნიტების წინააღმდეგ ბრძოლის ღიად გამოცხადება იყო. ვიცე – პრეზინდეტი თარიქ ალ-ჰაშიმი ქვეყნიდან გაიქცა. „ალ-ირაქიას“ ლიდერების დაცვის წევრებს უკვე ყოველდღიურად იჭერდნენ და დღის ბოლოს მათ აღიარებებს აქვეყნებდნენ, თითქოს ისინი ტერორისტულ აქტივობებში იყვნენ ჩაბმულნი. ისევ აგორდა სუნიტური დემონსტრაციები, 2013 წლის 15 იანვარს ჯარისკაცები იარაღით ახშობენ მიტინგს. ექსტრემისტები კვლავ იწყებენ ტერორისტული აქტების ახალ სერიებს – შეტევები ხორციელდება პოლიციისა და საჯარისო შენაერთების შენობებზე. მხოლოდ 2013 წლის აპრილში 700 ადამიანი დაიღუპა.[70]

ამ ტალღის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო, სუნიტებმა ისევ იგრძნეს, რომ ერთიან ერაყში მათი ადგილი აღარ იყო, აქედანვე იწყება მათი შეერთება ტერორისტულ ორგანიზაციებთან, მათ შორის ISIS – თან. 2014 წლის დასაწყისიდანვე „ისლამური სახელმწიფო“ მნიშვნელოვან პოზიციებს

[70] რ. თვალავაძე. „ერაყის ომი-ტრაგიკული ფინალი“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/11/iraq-war-tragic-end/

იკავებს, ერაყული არმიის სუნიტი მებრძოლები აღარც კი იბრძვიან მათ წინააღმდეგ, იკარგება მრავალი ქალაქი – ერაყული სახელმწიფო იშლება.

2008 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში შევიდა ხელშეკრულება ერაყსა და აშშ-ს შორის სადაც დეტალურადაა გაწერილი ამერიკის არმიის შესაძლო გაყვანის ვადები ერაყიდან.შეთანხმება შედგება პრეამბულისა და 30 პუნქტისაგან და მასში ხაზგასმითაა აღნიშნული ერაყის სრული სუვერენიტეტის და მისი ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ.ამ შეთანხმებით,ამერიკის სამხედრო შენაერთები უნდა გავიდნენ 2011 წლის ბოლომდე. 2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ერაყის ტერიტორიაზე იმყოფებოდა დაახლოებით 96 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. აშშ-ს მრავალი სამხედრო ბაზა ერაყის ტერიტორიაზე გადაეცა ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებს.[71]

2011 წლის ბოლოს, აშშ–ის თითქმის 9-წლიანი თავგადასავალი ერაყში დასრულდა, დეკემბერში უკანასკნელმა ამერიკელმა ჯარისკაცმა დატოვა ქვეყანა.

3.2 ავტორიტარული რეჟიმის დასრულების შემდგომ ერაყში განვითარებული დემოკრატიული პროცესები

ახალი ეტაპი ერაყის და შეიძლება ითქვას ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ გავითარებაში XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო. 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა ტერორისტული ქსელის „ალ-ქაიდას“ მიერ ორგანიზებული თავდასხმა ამერიკის ქალაქებზე - ნიუიორკსა და ვაშინგტონზე. მალევე „ალ-ქაიდას“ ტერორიზმის მსხვერპლად იქცა სხვა ქვეყნების მოსახლეობა, აშშ-ში ჩასული ტურისტები. აშშ-ს პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „ომი ტერორიზმთან“ სავსებით გასაგები რეაქცია იყო, მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობამ გაგებით მიიღო „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელობის დევნა. [72]

[71] კიკალიშვილი შ.აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ .თბილისი 2015.გვ 29-55

[72] რ. გაჩეჩილაძე. „ახლო აღმოსავლეთი გეოპოლიტიკა“ ტომი II. თბლისი. ბაკურ სულკაურის გამომცემლიბა. 2019. გვ. 157-166

აშშ-ის გადაწყვეტილებას, წამოეწყო ყოვლის მომცველი ომი ტერორის წინააღმდეგ. ერაყის ომი, შეიძლება ითქვას, ავღანეთში დაწყებული ომის გაგრძელებაა და იმავე მიზნების გაფრთოებასა და რეალიზაციას ემსახურება. 2003 წლის თებერვალშივე დაიწყო ანტი-საომარი კამპანიები მთელ მსოფლიოში, მასშტაბური გამოსვლები იყო ნიუ-იორკში, ლონდონში, პარიზში. საფრანგეთის პრეზიდენტმა საჯაროდ უარი თქვა ომის მხარდაჭერაზე, მას შეუერთდა რუსეთიც. ასე რომ, გაეროს უშიშროების საბჭოზე კიდევ ერთხელ საკითხის გატანამ ყოველგვარი აზრი დაკარგა.

2003 წლის 17 მარტს ბუშმა საჯარო მიმართვაში ულტიმატუმი წამოაყენა: „სადამ ჰუსეინმა და მისმა ვაჟებმა უნდა დატოვონ ერაყი 48 საათში. თუ ისინი უარს იტყვიან ამის გაკეთებაზე, შედეგი იქნება სამხედრო კონფლიქტი.“ ჰუსეინმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა, ბაღდადის დროით დილის 5:30 სთ – ზე ომი დაიწყო.[73] 2003 წლის 19 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შენაერთები შევიდნენ ერაყში. 21 დღის შემდეგ ამერიკულმა ნაწილებმა ფაქტობრივად სრული კონტროლი დაამყარეს ერაყზე.

ერაყში შეჭრიდან რამდენიმე კვირაში ძირითადი საბრძოლო მიზნები უკვე მიღწეული იყო. ბაღდადი აპრილის შუა პერიოდისთვის უკვე კოალიციის ხელში გადავიდა, სადამ ჰუსეინმა კი გაქცევით უშველა თავს.

განვითარებული მოვლენებ ამიტ არ დასრულებულა . დაიწყო პარტიზანული მოქმედება და სექტარული ბრძოლა. ერაყში 2003-2011 წლებში დაიღუპა, დასახიჩრდა და დაიჭრა მეოთხედ მილიონზე მეტი. რამდენიმე მილიონ ადამიანი ქვეყნიდან გაიხიზნა. რაოდენ ტირანულიც არ უნდა ყოფილიყო სადამ ჰუსაინის რეჟიმი, ასეთი რაოდენობის მსხვერპლს ის არ ითხოვდა.

ერაყში სიტუაცია უკიდურესად დამძიმდა. უსაფრთხოების ძალების არარსებობის პირობებში მასობრივად დაიწყო სამოქალაქო შენობებისა და მაღაზიების ძარცვა, არ მუშაობდა საავადმყოფოები. საჭიროება დადგა

[73] რ. თვალავაძე. „ბუშის დოქტრინა მოქმედებაში – ერაყის ომი – დასაწყისი“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

უსწრაფესად დროებითი მთავრობის ჩამოყალიბება. ერაყის ახალი მთავრობის შექმნა ძალიან გაწირდა. საბოლოოდ სამთავრობო შემადგენლობა დაკონპლექტდა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის - შიიტი არაბების - დომინაციით. ახალი კონსტიტუცია მოსახლეობამ მოიწონა2005 წლის 15 ოქტომბრის რეფერენდუმზე.

2008 წელს ჯერ კიდევ აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დროს, აშშ და ერაყის ახალი ხელისუფლება, რომელიც შიირი არაბებისა და ქურთების კოალიციას წარმოადგენდა, შეთანხმდნენ რომ აშშ-ს სამხედრო ნაწილები საბოლოოდ დატოვებდნენ ერაყს 2011 წლის 31 დეკემრამდე. ეს პირობა კი პრეზიდენტ ობამამ შეასრულა.[74]

2011 წიდან ერაყის მთავრობა მეტ ნაკლებად მართავს ერაყს, თუმცა ერაყის ქურთისტანში ჩამოყალიბდა ავტონომიური მმართველობა საკუთარი არმიითა და პოლიციით.

ვითარება ქურთების სასარგებლოდ ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაცემის შემდეგ, 2003 წლიდან, შეიცვალა. ჰუსეინის მმართველობის პერიოდში არ არსებობდა მათი ავტონომია, ხშირი იყო ქურთი მოსახლეობის დევნა. როგორც ცნობილია, ჰუსეინმა ქურთების წინააღმდეგ რამდენიმეჯერ გამოიყენა ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი, იყო ეთნიკური წმენდის შემთხვევებიც.[75]

2003 წლის ბოლოს ქურთული ავტონომიის ხელმძღვანელობასა და ერაყის ა ხალ ხელისუფლებას შორის გაფორმდა შეთანხება, რომელიც რეგიონისთვი ს ფართო ავტონომიის მინიჭებას ითვალისწინებდა, ამასთანავე, საკუთარი შეიარაღებული რაზმების ყოლისა და ერაყის შემადგენლობიდან გასვლის უფლებას, თუ ცენტრალური ხელისუფლება შეთანხმებას დაარღვევდა.

მთავარი პრობლემა ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობებში სადავო რაიონებია. ავტონომიის ტერიტორიის გარდა, არსებობს ზონა, რომელსაც მისი შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ, ამასთანავე,

[74] რ. გაჩეჩილაძე. „ახლო აღმოსავლეთი გეოპოლიტიკა“ ტომი II. თბლისი. ბაკურ სულკაურის გამომცემლიბა. 2019. გვ. 157-166

[75] ა. ზარქუა „ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და მოსალოდენლი დესტაბილიზაცია ერაყში“ 2017. https://on.ge/story/12780-ქურთების-ბრძოლა-დამოუკიდებლობისთვის-და-მოსალოდენლი-დესტაბილიზაცია-ერაყში

გარკვეული რაიონები მის ფარგლებს გარეთ, რომლებზეც ქურთებს პრეტენზია აქვთ. მთავარი პრიზი ამ შემთხვევაში ნავთობია _ მისი მარაგი კირკუკის სიახლოვეს 40 მილიარდ ბარელს აღემატება. ერაყის ახალ კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ სადავო ტეროტორიების მომავალზე 2007 წლის ბოლომდე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს, თუმცა ის არ გამართულა, ამიტომ 2009-ში ერაყის ქურთისტანის პარლამენტმა ცალმხრივი დეკლარაცია მიიღო და კირკუკი ქურთისტანის შემადგელობაში შეიყვანა, 2014-ში კი მასზე სრული კონტროლი დაამყარა.

გადაწყვეტილებამ რეფერენდუმის ჩატარების შესახებ არა მხოლოდ ერაყის, არამედ თურქეთის, ირანისა და სირიის მთავრობები შეაფოთა. ისინი შიშობენ, რომ დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნა მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქურთებს გამოყოფისკენ და "დიდი ქურთისტანისთვის" ბრძოლისკენ უბიძგებს. განსაკუთრებით აქტუალურია ეს სირიის როჟავას რეგიონისთვის, რომელიც ერაყის ქურთისტანს ესაზღვრება და ქურთების მიერ კონტროლდება.[76] სიტუაციას ართულებს ის, რომ სხვადასხვა ქურთულ დაჯგუფებებს განსხვავებული პოზიცია აქვთ და საზღვარგარეთ სხვადასხვა მოკავშირეები ჰყავთ _ ზოგიერთთან ვაშინგტონი მუშაობს, ზოგს თეირანი ეხმარება, ზოგს კი _ ანკარა. შეტაკებები მათ შორის მაშინაც არ შემწყდარა, როდესაც "ისლამურმა სახელმწიფომ" ქურთებს სასიკვდილო საფრთხე შეუქმნა. ქურთები ძალზედ ახლოს არიან დამოუკიდებლობასთან. მიუხედავად ამისა, რთული სავარაუდოა, რა შეიძლება მოჰყვეს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. დიდი ალბათობით, ეს რეგიონში დაპირისპირების კიდევ ერთ კერას წარმოქმნის. თავისთავად ცხადია, რომ ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი თვისობრივად შეცვლის ახლო აღმოსავლეთში არსებულ სიტუაციას

2010 წლიდან აბუ ბაქრ ალ–ბაღდადი „ერაყის ისლამური სახელმწიფოს" (ISI) ლიდერი იყო, რომელიც წარმოადგენდა „ალ–

[76] ლ. ნემსაძე „ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობის ზღურბლზე". საქართველო და მსოფლიო. 2016. http://geworld.ge/ge/ერაყის-ქურთისტანი-დამოუკ/

ქაიდასადმი“ დაქვემდებარებულ ჯგუფს. ის აიმან ალ–ზავაჰირისთან (“ალ–ქაიდას“ ლიდერი) შეთანხმებით 2011 წელს სირიაში აგზავნის წარმომადგენელს, აბუ მოჰამედ ალ–ჯულანის, რათა დააფუძნოს Al-Nusra Front-ი და ჯიჰადისტური მოძრაობა გააფართოვოს. 2013 წლის დასაწყისამდე ISI და Al–Nusra ერთობლივად მოქმედებენ. თუმცა ალ–ბაღდადი ამ ყველაფრით კმაყოფილი არაა, მას სურს სირიასა და ერაყში არსებული “ალ–ქაიდას” დაჯგუფებები ერთი ქოლგის ქვეშ გააერთიანოს, რა თქმა უნდა, საკუთარი ლიდერობით.

ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბება სამმა საკვანძო მოვლენამ გახადა შესაძლებელი: 1. აშშ–ის შეიარაღებული ძალების სრული გამოსვლა ერაყიდან; 2. ერაყის ხელისუფლების სექტარიანული მართვის მოდელი; 3. სამოქალაქო ომი სირიაში. ISIS-მა იმავე ტერორისტულმა ორგანიზაციამ "ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო" ერაყისა და სირიის ტერიტორიების დიდი ნაწილი 2014 წელს დაიკავა და ხალიფატი გამოაცხადა.[77]

საკვანძო ქალაქების წართმევა ISIS–სთვის სწორედ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში მოხერხდა და ცხადია, დამსახურება მასაც მიუძღვის. ახალი ადმინისტრაციის დროს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის სტრატეგიის საკვანძო სვეტები უცვლელი დარჩა, თუმცა მოხდა ერთი ჩასწორება, რამაც, ექსპერტების აზრით, დააჩქარა ISIS–ის დამარცხება. პენტაგონმა უშუალოდ ერაყსა და სირიაში მყოფ სამხედრო სარდლებს ყოველდღიურ ქმედებებში უფრო მეტი თავისუფლება მიანიჭა. და მიუხედავად იმისა, რომ საჰაერო დარტყმების რაოდენობა არ გაზრდილა, შედეგიანობა აშკარად უკეთესი გახდა. სავარაუდოა, რომ პენტაგონიდან მოვლენების მართვა ეფექტურობის ხარისხს მნიშვნელოვნად აგდებდა. მართალია, სირია და ერაყი მნიშვნელოვანწილად გაწმენდილია ISIS–ის

[77] რ. თვალავაძე. „“ისლამური სახელმწიფო” – აღზევება და დაცემა“. POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/

მებრძოლთაგან, თუმცა ახლა მთავარი ფაზა, დანგრეული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა უნდა დაიწყოს. თუ ბაღდადმა და დამასკომ კვლავინდებურად განაგრძეს სექტარიანიზმისა და ავტორიტარიზმის ჩარჩოებიდან მოქმედება, მოსახლეობა იმედებს ისევ რადიკალიზებას დაუკავშირებს, რაც ახალ ტალღას წარმოშობს "ისლამური სახელმწიფოს" მსგავსი ორგანიზაციების ჩამოყალიბების მიმართულებით.[78]

ერაყის პოლიტიკურ სპექტრში გამოჩნდნენ საკმაოდ ახალგაზრდა და ენერგიული პოლიტიკოსები, როგორებიცაა მოქთადა ალ-სადრი და ამმარ ალ-ჰაქიმი. თუ ისინი შეძლებენ მომდევნო წლებში უფრო აქტიური პოზიციები დაიკავონ პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაშინ უნდა ველოდოთ ერაყის განვითარების ტემპების დაჩქარებას. ასევე დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ისლამის რელიგიაში განსწავლულ პირებს - აიათოლებს და სხვა სწავლულებს, რადგან ერაყის სწორი მიმართულებით სვლა მათ გარეშე რთული იქნება. ერაყის შიიტებს, სუნიტებს და ქურთებს შორის სრულფასოვანი დიალოგი და თანამშრომლობა წაადგება რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცებას და საშუალებას მისცემს ამ რეგიონის ქვეყნებს უფრო მჭიდრო ინტეგრაციული პროექტების განხორციელებაზე იზრუნონ

2003 წლის შემდეგ პროგრესი ნამდვილად არსებობს, როცა ბოლო წლებში კონსტიტუციაშიც შევიდა შესწორება, თუმცა სამწუხაროდ, ეს ცვლილებები არ გატარებულა ისე, როგორც ეს უნდა მომხდარიყო. ამერიკული სამხედრო კონტიგენტის გასვლის შემდეგ, რელიგიურ ნიადაგზე უთანხმოებები დაიწყო, მოხდა საზოგადოების გარკვეული ფენების რადიკალიზაციაც. ერაყის მთავრობას გაუჭირდა სუნიტებთან და ქურთულ მოსახლეობასთან თანხმობის მიღწევა, ამასობაში სირიაში მიმდინარე მოვლენებმაც თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ერაყის განვითარებაზე. ერაყის მოსახლეობის ერთი ნაწილი სირიის მთავრობის

[78] რ. თვალავაძე. „"ისლამური სახელმწიფო" – აღზევება და დაცემა". POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/

მხარდამჭერად იქცა, მეორე ნაწილი-სუნიტი არაბები-კი სირიული ოპოზიციის მიმართ განეწყო სიმპათიით. საბოლოო ჯამში, ორი ქვეყნის თანამედროვეობა და პრობლემები მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა უერთიერთთან. ეს არის შექმნილი კრიზისის მთავარი განმაპირობებელი არგუმენტები, თუმცა არის საკითხები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ექსტრემიზმის მატებას და აი-სი-სის გაძლიერებას დასავლეთ ერაყში. აქ ვგულისხმობ ამ სამხედრო დაჯგუფების ოპერაციებში განხორციელებულ ტაქტიკურ ცვლილებებს, მაგრამ მთავარი იყო ის, რაც აღვნიშნე.[79]

ქვეყანაში გამოჩნდა ნაციონალიზმის პირობები. არჩევნების რეგულარულარულად ტარდებოდა. სექტარული ძალადობა შემცირდა. სეკულარიზმი აღმავლობის გზაზეა. მაგრამ შეუძლია თუ არა ქვეყნის მთავრობას, რომელიც 2018 წლის მარტის არჩევნებზის შედეგად რამდენიმე თვის განმავლობაში იქმნებოდა მოუტანოს ქვეყანას ერთიანობა? შეამციროს დაპირისპირება ქურთებსა და არაბებს შორის, შიიტებსა და სუნიტებს შორის? ებრძოლოს კორუფციას? საერთოდ აღადგინოს დანგრეული ქალაქები? თუმცა ამ და სხვა მსგავს კითხვებზე პასუხები ჯერჯერობით არ არსებობს და მხოლოდ დროის ფაქტორია, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ერაყის შიდა და საგარეო პოლიტიკურ საქმიანობაშ.[80]

3.3 არაბული გაზაფხულის შედეგები ეგვიპტის დემოკრატიზაციის გზაზე.

2010 წლის ბოლოდან ახლო აღმოსავლეთი, კერძოდ კი არაბული სამყარო მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრად იქცა. მოვლენები საკმაოდ სწრაფად და მძაფრად ვითარდებოდა. „არაბული გაზაფხული“, მოვლენა რომელმაც მთელი სამყაროს ყურადღება მიიქცია, გამოიწვია მრავალი შიდა თუ საგარეო ფაქტორების თანხვედრამ. მასში უდიდესი როლი ითამაშა სოციალურმა ქსელებმა და ახალგაზრდა ვაჭრის, მუჰამედ ბუაზიზის, ტრაგედიამაც. იმის მიუხედვად, რომ ყველაზე დიდი სარგებელი „არაბული

[79] ,,ერაყი განვითარების ახალი ეტაპის პერსპექტივის წინაშე'', პოლიტფორუმი, 2011. http://politforumi.com/geo/953/erayi-ganvitarebis-axali-etapis-perspeqtivis-cinashe.html

[80] რ. გაჩეჩილაძე. „ახლო აღმოსავლეთი გეოპოლიტიკა“ ტომი II. თბლისი. ბაკურ სულკაურის გამომცემლიბა. 2019. გვ. 157-166

გაზაფხულისგან“ ისლამისტურმა ძალებმა მიიღეს, გადაჭარბებული იქნებოდა იმის თქმა, რომ 2011 წლის გაზაფხულის ეს მოვლენები ინსპირირებული იყო ამ ჯგუფების მიერ. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ემსახურებოდა დასავლური დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას, არაბ ხალხს უბრალოდ სურდა მიეღწია სოციალური თანასწორობისთვის და შეეცვალა მთლიანი სისტემა. დიქტატურის პირობებში ეკონომიკური განსხვავებულობა ღარიბ მოსახლეობასა და მმართველ ელიტას შორის სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ეკონომიკური განვითარების გზაზე მდგარი ქვეყნების მოსახლეობა ვერ გრძნობდა რაიმე სახის წინსვლას. არაბული რევოლუციების საბოლოო შედეგიც წესით ეს უნდა ყოფილიყო – სოციალური თანასწორობა, რადგან სწორედ ამ მოთხოვნით გამოდიოდა ხალხი ქუჩებში.[81]

ბევრი მიიჩნევს, რომ რევოლუციები მოხდა მხოლოდ რომელიმე ერთი ფაქტორის გამო. ქვეყნანაში არსებული რეჟიმები იყენებდნენ ყველანაირ ძალას, რათა გაეძლიერებინათ თავიანთი მმართველობა. ისინი თავიანთი მოსახლეობის წინააღმდეგ არ ერიდებოდნენ არანაირი სახის რეპრესიებს. დიქტატორული რეჟიმები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას იმიზეზებდნენ, რათა გაემართლებინათ თავიანთი საქციელი მოსახლეობის წინააღმდეგ. არ ერიდებოდნენ ხალხის გატაცებას, გაქრობას, უმიზეზო დაპატიმრებებს, წამებას და გასამართლების გარეშე დახოცვასაც კი. არაბული ქვეყნების კიდევ ერთი სერიოზული პოლიტიკური პრობლემა იყო ხანგრძლივი დიქტატურები.

იმისათვის, რომ პროტესტი აგორებულიყო აუცილებელი იყო რაიმე საბაბი, რომელიც აღაშფოთებდა ხალხს. ეს საბაბი აღმოჩნდა 2010 წლის 17

[81] „არაბული გაზაფხული და მისი გამომწვევი მიზეზები, სოციალური ტრანსფორმაცია თუ ისლამისტი ძალების გამარჯვება“. 2013. https://mariotiashvili.wordpress.com/2013/12/10/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1/

დეკემბერს ტუნისში ქუჩაში მოვაჭრე ახალგაზრდა მუჰამედ ბუაზიზის პროტესტის უკიდურესი გამოვლინება. მან ბაზრის წინ თავი დაიწვა იმის გამო, რომ სამართალდამცავებმა ჩამოართვეს სასწორი და აუკრძალეს ვაჭრობა. მუჰამედ ბუაზიზიზს სუიციდის ამსახველი კადრები უსწრაფესად გავრცელდა არაბულ სამყაროში და მთელ მსოფლიოში სოციალური ქსელების მეშვეობით. სწორედ აქ იკვეთება „არაბული გაზაფხულის“ ხუთი მითიდან ერთ-ერთის უდიდესი მნიშვნელობა – სოციალური ქსელების როლი რევოლუციებში. რომ არა ინტერნეტ ქსელები: ფეისბუქი და ტვიტერი, მუჰამედ ბუაზიზის სიკვდილის შესახებ ინფორმაცია არაბულ ქვეყნებში ვერ გავრცელდებოდა. მითუმეტეს, რომ დიქტატურის პირობებში ტელევიზია და სხვა საინფორმაციო საშუალებები აბსოლიტურად მონოპოლიზებული იყო ხელისუფლებების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა არაბი მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა, ინფორმაცია მაინც გავრცელდა და მალე მოედო მთელ არაბულ სამყაროს. ტუნისის შემდეგ რევოლუციური ტალღა გადაიღვარა (spillover) სხვა არაბულ ქვეყნებშიც და გადაედო რეგიონის მთელ მოსახლეობას რამაც გამოიწვია მოვლენები, რომლებსაც მსოფლიომ „არაბული გაზაფხული“ უწოდა.[82]

2010 წლის დეკემბრის დასაწყისში, რამდენიმე არაბულ ქვეყანაში (ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში), უპრეცედენტო მასობრივი დემონსტრაციები მოეწყო სიღარიბის, კორუფციისა და პოლიტიკური რეპრესიების წინააღმდეგ. მათ შორის იყო ეგვიპტე, სადაც 2011 წელს მოსახლეობა აუჯანყდა რეგიონში ერთ-ერთ, ხანგრძლივი მმართველობის მქონე და გავლენიან ლიდერს, ჰოსნი მუბარაქს.

ეგვიპტეში მასობრივი გამოსვლები დაიწყო 2011 წლის 25 იანვარს დემონსტრაციები ორგანიზებული იყო ახალგაზრდა ჯგუფის,

[82] ნ. ლონდარიძე. „ეგვიპტის 2011 წლის რევოლუცია“. 2015. http://intermedia.ge/სტატია/69103-ეგვიპტის-2011-წლის-რევოლუცია/20/

ოპოზიციური პარტიების მიერ, რომლებიც მოითხოვდნენ მუბარაქის გადადგომას, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებისთვის გზის დათმობას. ათასობით აქტივისტმა კაიროს საქმიანი ნაწილიდან გეზი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფისებისკენ აიღო, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო ტელევიზიისკენ. მალე პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკება დაიწყო. დემონსტრაციები რაც უფრო ძალას იკრებდა, მუბარაქის რეჟიმი უკიდურესად ძალადობრივ გზებს მიმართავდა მათ წინააღმდეგ. 2011 წლის იანვრიდან მოყოლებული, პერმანენტული რევოლუციის პროცესში მყოფ ეგვიპტეში ჩამოყალიბდა პოლიტიკურად უკიდურესად აქტიური რევოლუციური მასა, რომელმაც დიდი თავდაჯერება იგრძნო პრეზიდენტ მუბარაქის დამხობით და იმით, რომ სამხედროებს არ მისცა ძალაუფლების ხელში აღების საშუალება და რომელიც, მზად არის, შესაბამისი საბაბის პირობებში, ადვილად გამოვიდეს ქუჩაში. რევოლუცია დასრულდა, თუმცა ეგვიპტელი ხალხის მოლოდინი - უკეთესი ხელისუფლება და ქვეყანაში ცხოვრების პირობების შეცვლა, მოლოდინად დარჩა.[83]

2012 წლის 24 ივნისს, ეგვიპტის საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა არჩევნების ოფიციალური შედეგები. მუჰამმად მურსი გახდა პირველი, დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი ეგვიპტის ისტორიაში. მან ხმების 51.7% მიიღო, მისმა ოპონენტმა, აჰმად შარიფმა, მუბარაქის მთავრობის ბოლო პრემიერმა კი, 48.3%.[84]

მურსის მმართველობა არაკომპეტენტური გამოდგა. მან გაიფუჭა ურთიერთობა სამხედროებთან, შეავიწროვა სასამართლო ხელისუფლება, გაატარა რეპრესიები ჟურნალისტების წინააღმდეგ და გამოავლინა სრული უმეცრება ეკონომიკაში. მურსის გუნდი უნიათო გამოდგა სახელმწიფოს

[83] "Egyptian president may seek to break two-term limit, petition suggests". The Guardian. 2019. https://www.theguardian.com/world/2018/aug/01/petition-signals-egyptian-presidents-abdel-fatah-al-sisi-intention-to-seek-third-term

[84] ნ. ჩარკვიანი. „ეგვიპტე - დაუსრულებელი რევოლუცია". თავისუფალი პარლამენტი. 2013. http://freeparliament.blogspot.com/2013/07/normal-0-false-false-false-en-us-ja-x.html

მართვასა და მენეჯმენტში. მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა ასევე მისმა უხერხემლო და დილეტანტურმა საგარეო პოლიტიკამ. განსაკუთრებით გამოყოფენ ურთიერთობის გაუარესებას მთავარ ეკონომიკურ პარტნიორებთან და გაურკვეველ პოზიციას სირიის კრიზისის მიმართ, რომელმაც ეგვიპტის, როგორც არაბული სამყაროს პოლიტიკური ფლაგმანის როლი საგრძნობლად შეარყია. სერიოზული პრობლემები ჯერ კიდევ 2012 წლის შემოდგომაზე დაიწყო. რა თქმა უნდა, მურსი ცდილობდა გაემყარებინა ისლამისტების. შექმნილ სიტუაციაში მურსიმ „მუსლიმ ძმებთან“ კონსულტაციების შედეგად და სხვა პოლიტიკურ ძალებთან ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე კონსტიტუციაში შეიტანა მკვეთრი შესწორებები, რომელთა თანახმად, სასამართლოებს აეკრძალა პარლამენტის ზედა პალატისა და საკონსტიტუციო ასამბლეის დათხოვნა, ასევე პრეზიდენტს მიენიჭა უფლება, გამოეცა ნებისმიერი ბრძანებულება „რევოლუციის დასაცავად“, რომელიც არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას სასამართლოში.

ცხადი იყო, რომ ეგვიპტელები ამას მარტივად არ შეურიგდებოდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუბარაქის გადაყენებით დაინახეს, რომ წარმოადგენდნენ ძალას, რომელსაც შეეძლო 30 წლიანი მმართველობაც კი დაესრულებინა. ამან გამოიწვია ძლიერი პოლიტიკური აფეთქება და მრავალრიცხოვანი ქუჩის აქციები. სიტუაცია სამხედროებმა განმუხტეს, უმაღლესმა სამხედრო საბჭომ და მისმა თავმჯდომარემ, შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა და თავდაცვის მინისტრმა ალ-სისიმ მოახერხა სიტუაციის დასტაბილურება, მაგრამ ეს უკვე აშკარად ნიშნავდა სამხედროების პოლიტიკური როლისა და წონის გაძლიერებას. მეორე მხრივ, მურსის ნაბიჯებით გამოწვეული უკმაყოფილება მაინც დარჩა.[85]

2013 წლის 30 ივნისს მასობრივი პროტესტის ტალღა მოედო მთელს ეგვიპტეს. მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომა იყო. მილიონობით

[85] ნ. ლონდარიძე. „ეგვიპტის 2011 წლის რევოლუცია“. 2015. http://intermedia.ge/სტატია/69103-ეგვიპტის-2011-წლის-რევოლუცია/20/

ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. აქციებს სათავეში ოპოზიცია ჩაუდგა, რომელიც მუბარაქის მთავრობის წევრებით არის დაკომპლექტებული. უმთავრესი როლი იმან ითამაშა, რომ პრეზიდენტს ჯარიც განუდგა და ხალხის მხარეს დადგა. მათი განცხადებით, თუ 3 ივლისამდე (48 საათში) მოთხოვნა არ შესრულდებოდა, ისინი ძალას გამოიყენებდნენ და მართვის სადავეებს თავად ჩაიბარებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამის სურვილი არ ჰქონდათ. უმაღლესი სამხედრო საბჭო მნიშვნელოვნად გაემიჯნა ქვეყნის პოლიტიკურ მართვას, მაგრამ პოლიტიკური ქაოსით მოცულ ეგვიპტეში თავი გამოაცხადა ქვეყნის სტაბილურობის სადარაჯოზე მდგარ გარანტად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხედროებმა თავიდან აირიდეს პასუხისმგებლობა ქვეყნის მართვასა და პოლიტიკურ პროცესებზე, მაგრამ შეინარჩუნეს რეალური ძალაუფლება და გადამწყვეტ მომენტში სიტუაციაში ჩარევის საშუალება. ამდენად, ისინი ეგვიპტელთა დიდი ნაწილის ცნობიერებაში ქაოსური 2012 წლის განმავლობაში ნელ-ნელა ჩამოყალიბდნენ როგორც პოზიტიური და უკანასკნელი იმედის სტატუსის მქონე ძალა. ამ ხნის განმავლობაში მათ მოახერხეს კონსტრუქციულ დიალოგში შესვლა ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილთან და, საბოლოოდ, „მუსლიმი ძმებისა“ და „ალ-ღამა ალ ისლამიას“ გარდა, ყველა დანარჩენ პოლიტიკურ ძალასთან მეტ-ნაკლებ ურთიერთგაგებას მიაღწიეს. ასე რომ, ოპოზიციისა და შეიარაღებული ძალების უხილავმა ალიანსმა თითქმის „მუსლიმი ძმების“ ანაბარა დარჩენილ მურსის შანსები აღარ დაუტოვა.[86]

2 ივლისს მურსიმ სიტყვით მიმართა ხალხს და საჯაროდ დაგმო ულტიმატუმი, რომელიც მას ჯარმა წაუყენა. მისი განცხადებით, ის არ აპირებდა დაეტოვენინა თანამდებობა, ის ხალხის არჩეული პრეზიდენტი იყო და განაგრძობდა მუშაობას. 3 ივლისს შეიკრიბა სხდომა, რომელმაც მურსი ყოფილ პრეზიდენტად გამოაცხადა და ძალაუფლება ჯარს გადააბარა. სხდომას ესწრებოდნენ ეგვიპტის თავდაცვის მინისტრი აბდულ

[86] „რა ხდება ეგვიპტეში“. ივერია. 2019. http://iveria.biz/92-ra-xdeba-egvipteshi.html

ფათაჰ ალ-სისი, ოპოზიციის ლიდერი მუჰამმად ალ-ბარადაი, ალ-აზჰარის იმამი აჰმად ალ-ტა'იბი და კოპტების პაპი თეოდოროს II. დროებითი მთავრობა შეიარაღებული ძალების ხელში გადავიდა. ისინი მუშაობდნენ მთავრობის დაკომპლექტებაზე, პრემიერისა და მინისტრების დანიშვნაზე. პარალელურ რეჟიმში გამოსვლები გრძელდებოდა, აქციის მონაწილეები მოითხოვენ დროებითი მთავრობის სწრაფ მოქმედებას, რომელიც რეალურ შედეგებს მოიტანს. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ამ გამარჯვებას მუსლიმი ძმების არსებობის დასასრულს უწოდებს, ექსპერტები ამბობენ, რომ მათი არსებობა ამით არ დასრულდება, შეიძლება ისევ "მიწისქვეშეთში" გადაინაცვლონ, თუმცა მაინც განაგრძობენ მოქმედებას.

2013 წლის გადატრიალების დროს, როდესაც ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი მუჰამედ მორსი განდევნეს, სამხედრო ლიდერმა გენერალმა აბდელ ფატაჰ ალ-სისიმ განაცხადა: "სამხედრო ძალებმა განახორციელეს ის რაც ეგვიპტელმა ხალხმა, რომლებმა ჩვენ დასახმარებლად მოგვიხმეს, დაგვავალა -აგვეღო ძალაუფლება საკუთარ თავზე. უფრო ზუსტად კი მათ დაგვავალეს რომ გარდაგვექმნა საჯარო სერვისები და რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათთვის უზრუნველგვყო მათი რევოლუციის მოთხოვნები".

ამ დროის მანძილზე სისი ჯერ კიდევ პრეზიდენტია და უფრო მეტიც, პარლამენტი აპირებს რომ მისი მართველობა 2034 წლამდე გააგრძელოს, მათ დაივიწყეს ის ძირითადი მიზანი რისთვისაც თავისდროზე მილიონობით ეგვიპტელმა ჰუსეინ მუბარაკის 29 წლიანი მართველობა დაასრულეს 2011-ში.

2019 წლის 14 თებერვალს 596 ეგვიპტელი პარლამენტარისგან 485-მა ხმა მისცა კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც სისის მართველობას ახანგრძლივებს. კერძოდ ქარტიის ცვლილებით საპრეზიდენტო ვადა იზრდება 4დან 6 წლამდე, პრეზიდენტი იღებს კონსტიტუციურ უფლებას დანიშნოს მოსამართლეები და გენერალური პროკურორი და სამხედრო კორპუსი ხდება ქვეყნის მთავარი

მაკონტროლებელი/სადაზვერვო/სამეთვალყურეო ორგანო. ახალი კონსტიტუციით ჯერ კიდევ იზღუდება პრეზიდენტი ორი ვადის არჩევის პრინციპით, თუმცა სისი - რომელიც 2018 წლის მარტში მეორედ იქნა არჩეული - მისთვის გამონაკლისი იქნება დაშვებული. [87] 2011-ისა და 2013-ში არსებული იმედების საპირისპიროდ, ეგვიპტე ავტორიტარიზმსაც კი გასცდა. ციხეები გადავსებულია პატიმრებით, მედია დამოუკიდებლობა და ოპოზიციური მოძრაობა კი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით თავს იკავებენ რადიკალური ნაბიჯებისგან.

განვითარების გზაზე მდგარ ქვეყნებში დემოკრატიად მიიჩნევენ არჩევნების ჩატარებას, რაც დემოკრატიის არასაკმარისი კრიტერიუმია ცალსახად. ასე იყო ეგვიპტის შემთხვევაშიც, როდესაც რევოლუციის შემდეგი არჩევნები „დემოკრატიის ზეიმად“ იქნა მიჩნეული, თუმცა მას შემდეგ, რაც შედეგები გახდა ცნობილი და ის პროცესების ფონზე, რაც არჩევნებს მოჰყვა, ხალხმა დაინახა, რომ ეს უკვე აღარ იყო დემოკრატიის გაგრძელება. რთულია განჭვრიტო რა იქნება შემდეგ. დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებას სჭირდება დიდი დრო და მრავალი ეტაპი, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვის, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ერთპიროვნული, დიქტატორული მმართველობა იყო.

[87] Egypt: hopes for democratic future die as al-Sisi marches country towards dictatorship – with parliament's blessing". The Conversation. 2019. https://theconversation.com/egypt-hopes-for-democratic-future-die-as-al-sisi-marches-country-towards-dictatorship-with-parliaments-blessing-113491

დასკვნა

მეტად მნიშვნელოვანია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში განვითარებული მოვლენები. ამ პერიოდში მოხდა გარკვეულ სახელმწიფოებში მმართველობის სისტემის ცვლილება მაგ: ერაყი და ეგვიპტე რომლებშიც დაემხო მონარქიული მმართველობა და ქვეყნები რესპუბლიკურ მმართველობაზე გადავიდნენ. ახლო აღმოსავლეთის ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომლებმაც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამდე საკმაოდ გრძელი გზა გაიარეს.

სამაგისტრო ნაშრომის პასუხები გავეცით ჩვენი თემის მთავარ საკვლევ კითხვებს, რომლებიც კვლევის დასაწყისში გვქონდა დასმული და შემდეგში მდგომარეობს. ერაყიდან და ეგვიპტიდა ამ ორ ქვეყანებს შორის პირველად დამოუკიდებლობა ეგვიპტემ მოიპოვა. შემდეგ იყო ერაყი. დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, ეს ქვეყნები საკმაოდ რთული შიდა პოლიტიკურ ვითარების წინაშე აღმოჩნდნენ, რაც გამოიხატა კონფენსიებს შორის დაპირისპირებით. ქვეყნებში მონარქიების დასრულებას, მათი სეკულარულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება მოჰვა. ეს პრობლემა ამ ქვეყნებს ლამის დღემდე აწუხებთ.

სეკულარულ ერაყსა და ეგვიპტეში ავტორიტარული რეჟიმების დასრულების შემდგომ ნამდვილად გაჩნდა შანსი ვითარების გამოსწორებისა და ქვეყნებში დემოკრატიის დამკვიდრებისა. ამის ნათელი მაგალითია ეგვიპტეში „არაბული გაზაფხული“, როცა ქუჩაში გამოსულმა ხალხმა შძლო და საპროტესტო აქციებით დაგმო სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა და მოითხოვა მთავრობის შეცვლით თანასწორობის აღდგენა.

ერაყში ავტორიტარული რეჯიმის დარსულების შემდგომ დემოკრატიული პროცესები ნაკლებად განვითადრა. ეს არაერთმა ფაქტორმა

განაპირობა. დემოკრატიის არ განვითარების მთავარი განმაპირობებლი ფაქტორი ის იყო, რომ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში გარე ძალები ფიგურირებდნენ, რაც ძირითადად ნავთობის რესურსებზე წვდომის ინტერესიდან გამომდინარეობდა. ამას ემატება ქვეყნის შიდა ქურთების მიერ ავტონომიის მოთხოვნის პრობლემაც. ევროპული ქვეყნებისაგან ერაყი განსხვავდება თავისი სპეციფიკური პოლირიკური სისტემით, რაშიც მცირეა დემოკრატიისათვის ადგილი. ამას ემატება რელიგიური ფაქტორიც, რისთვისაც მიუღებელია დასავლურო დემოკრატიული პრინციპები.

მოცემული ჰიპოთეზა კვლევის შედეგად გამართლდა, რაზეც მეტყველებს ერაყისა და ეგვიპტის დამოუკიდებლობის მოპოვება. მიუხედავად საკმაოდ რთული შიდა პოლიტიკურ ვითარება, რომლის წინაშეც ისინი აღმოჩნდნენ, რაც გამოიხატა კონფენსიებს შორის დაპირისპირებით და დიქტატურის დამყარებით.

„არაბული გაზაფხულის“ შედეგად ეგვიპტეში მოხდა ძველი სისტემის დემონტაჟი, დროის მცირე მონაკვეთში ხელისუფლებაში ისლამისტბიც კი მოვიდნენ, თუმცა ისინი ხელისუფლებას მალე ჩამოაშორეს. 2014 წელს ქვეყანის ახალი პრეზიდენტი აბდულ-ფათაფ ალ-სისი გახდა. მოლოდინები გაიზარდა იმ მხრივ, რომ ქვეყანაში დასრულდა ძველი რეჟიმი და ეგვიპტე დემოკრატიზაციის გზას დაადგა, თუმცა ეს მოჩვენებითი აღმოჩნდა, რადგან ალ-სისის მმართველობაც თანდათანობით მის წინამორბედ მმართველების სტილს ემსგავსება. ამიტომ დემოკრატიული ტალღა ეგვიპტისატვის მაინც მიუწვდომელ ოცნებად რჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასაწყისშივე წარმოდგენილი ჰიპოთეზა გამართლდა, რაშიც დამეხმარა „პოლიტიკური რეალიზმის “ თეორიის კვლევითი მეთოდოლოგია და ამავე დროს მივსულიყავით შესაბამის დასკვნებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. „ახლო აღმოსავლეთი გეოპოლიტიკა“ ტომი II. თბლისი. ბაკურ სულკაურის გამომცემლიბა. 2019.
2. გელოვანი ნ. ნაშრომმა „თანამედროვე არაბული ქვეყნები“ თბილისი 2008.
3. გელოვანი ნ. შიიზმი და ეთნოკონფესიური კონფლიქტი ერაყში. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, თბილისი 2009.
4. გელოვანი ნ. სანიკიძი გ. ალასანია გ. „ახლო აღმოსავლეთის ისტორია“, თბილისი 2011
5. კიკალიშვილი. შ. „აშშ-ს პოლიტიკა ერაყის მიმართ სპარსეთის ყურის მეორე ომის შემდეგ“ .თბილისი 2015.
6. სილაგაძე ბ. „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში და ერაყში“. თბილისი. 1967. ჯაფარიძე, გ.
7. „მამლუქი“. 1999
8. ქაროსანიძე თ. „პერსპექტივა“, თბილისი. 2009.
9. Aly, Abd al-Monein and Wenner, Manfred W. Modern Islamic Rform Movements: The Muslim Brotherhood in Contenporary Egypt. MEJ 1982.
10. Anderson liam , Gareth Stansfield .*The Future of Iraq: Dictatorship, Democracy, or Division? Paperback – August 25, 2005*
11. Anderson, Liam & Stansfield,Gateth. The Future of Iraq: Dictatorship, Democracy, or Division? New York: Pal-grave Macmillan, 2004.
12. Anti-American terrorism, 2002:
13. Berber, Morroe. Military Elite and Social Change: Egypt Since Napoleon. Princeton, New Jersey: Center for International Studies, 1964
14. Barstow, Broad, Gerth 2004: Barstow, David; Broad, William J. and Gerth, Jeff. How White House Embraced Suspect Iraq Arms Intelligence. The New York Times. October 3, 2004. Accessed on May 25, 2015

15. Barker, Raymond William. Sadat's Opem Door: Oppozition From Within. Social Problems, 1981.

16. Cleveland, William L.A History of the Modern Middle East. 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004.

17. Cleveland, William L.A History of the Modern Middle East. 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004, 2009

18. Dawisha, Adeed. Iraq. A Politkal History from Independence to Occupation. Princeton and Oxford: Princeton University Press, 2009.

19. Ginat, R. Egypt's Incomplete Revolution: Lutfi Al-Khuli and Nasser's Socialism in the 1960s. New York: W. H. Freeman, 1996.

20. Goldsmith, Arthur & Davidson, Lawrence. A Concise History of the Middle East. 8th ed. Boulder, Colorado: Westview Press, 2006

21. Goldschmidt, Artur Jr. Modern Egipt. Thr Formstion of Thr Nation State 2-ed. Boulder: Westview Press, 2004.

22. Hopwood, Derek. Egypt: Political and Society, 1945-1984. 3rd ed. London: Routledge, 1991

23. Kenneth Katzman, Iran:U.S concerns and policy Responses; congressuinal Research Service;april 14, 2015

24. Kamrava, Mehran. The Modern Middle East: A Political History since the First World War. Berkeley: University of California Press, 1978.

25. Jervis 2011: Jervis, Robert. Explaining the War in Iraq. In: Why Did The United States Invade Iraq? Editors: Janne K. Cramer, Trevor A. Thrall. London: Routledge, 2011

26. Kepel G. University of California Press, 1984

27. Lia B. Garnet, 1998

28. Mitchell, Richard p. The Society of thr Muslim Brothers. London: Oxford University Press, 1969

29. Milton-Edwards Beverley, 2004.

30. Mamsfieed, Kanan. The politics of Modern Syria, 1992,

31. McGregor, Andrew. A Military History of Modern Egypt. From the Ottoman Conquest to the Ramadan War. London: Praeger Secuity International Westport, Connecticut, 2006. Fedorak, 1993:

32. Parrker, J. S. F. The United Arab Republic. International Affairs (Royal Institute of

33. International Affairs 1944), 1962

34. R.Fazlur, Oxford: "Oneworld" 2003

35. Richards, Alan & Waterbury John. A Political Economy of the Middle East: State, Class and Economic Development. Boulder, San Francisco and Oxford: Westview Press, 1990. [18] Botman, 2008: 293-300; Marsot, 2007

36. Safty Adel, Sadat's Negotations with the United State and Israel: From to Camp David. AJES, 1991.

37. Tripp, Charles. A histori of Iraq. 3 Edition. Cambridge: Cambridge University Press, 2007.

38. Waterbury, John. The Egypt of Nasser and Sadat: The Political Economy of Two Regimes. Princeton, New Jersey: Princeton University Press, 1983

39. Wickham C. New York: Basic Books 2002

გამოყენებული ინტერნეტ-რესურსები

40. ,,ერაყი განვითარების ახალი ეტაპის პერსპექტივის წინაშე'', პოლიტფორუმი, 2011. http://politforumi.com/geo/953/erayi-ganvitarebis-axali-etapis-perspeqtivis-cinashe.html

41. რ. თვალავაძე. „ერაყის ომი-ტრაგიკული ფინალი", POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/11/iraq-war-tragic-end/

42. რ. თვალავაძე. „ერაყის ომი-ჩავარდნილი მისიის მიზეზები", POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/10/iraq-war-failed-mission/

43. რ. თვალავაძე. „ბუშის დოქტრინა მოქმედებაში – ერაყის ომი – დასაწყისი“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

44. რ. თვალავაძე. „“ისლამური სახელმწიფო” – აღზევება და დაცემა“. POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/

45. „კრიზისი ერაყში“. ამერიკის ხმა. 2014. https://www.amerikiskhma.com/a/iraq_crisis_world/1938151.html

46. ლ. ნემსაძე „ერაყის ქურთისტანი დამოუკიდებლობის ზღურბლზე“. საქართველო და მსოფლიო. 2016. http://geworld.ge/ge/ერაყის-ქურთისტანი-დამოუკ/

47. ა. ზარქუა „ქურთების ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის და მოსალოდენლი დესტაბილიზაცია ერაყში“ 2017. https://on.ge/story/12780-ქურთების-ბრძოლა-დამოუკიდებლობისთვის-და-მოსალოდენლი-დესტაბილიზაცია-ერაყში

48. ,,ერაყი განვითარების ახალი ეტაპის პერსპექტივის წინაშე'', პოლიტფორუმი, 2011. http://politforumi.com/geo/953/erayi-ganvitarebis-axali-etapis-perspeqtivis-cinashe.html

49. რ. თვალავაძე. „“ისლამური სახელმწიფო” – აღზევება და დაცემა“. POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2017/12/21/islamic-state-rise-and-fall/

50. რ. თვალავაძე. „ბუშის დოქტრინა მოქმედებაში – ერაყის ომი – დასაწყისი“, POLITICALREVIEWER – INTERNATIONAL POLITICS, THEORIES AND REPORTS, 2016. https://politicalreviewer.wordpress.com/2016/04/05/iraq-war-1/

51. „არაბული გაზაფხული და მისი გამომწვევი მიზეზები, სოციალური ტრანსფორმაცია თუ ისლამისტი ძალების გამარჯვება“. 2013. https://mariotiashvili.wordpress.com/2013/12/10/%E1%83%90%E1%83%A0%E1%8

3%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1/

52. ნ. ჩარკვიანი. „ეგვიპტე - დაუსრულებელი რევოლუცია“. თავისუფალი პარლამენტი. 2013. http://freeparliament.blogspot.com/2013/07/normal-0-false-false-false-en-us-ja-x.html

53. ნ. ლონდარიძე. „ეგვიპტის 2011 წლის რევოლუცია“. 2015. http://intermedia.ge/სტატია/69103-ეგვიპტის-2011-წლის-რევოლუცია/20/

54. „რა ხდება ეგვიპტეში“. ივერია. 2019. http://iveria.biz/92-ra-xdeba-egvipteshi.html

55. “Egyptian president may seek to break two-term limit, petition suggests”. The Guardian. 2019. https://www.theguardian.com/world/2018/aug/01/petition-signals-egyptian-presidents-abdel-fatah-al-sisi-intention-to-seek-third-term

56. “Egypt: hopes for democratic future die as al-Sisi marches country towards dictatorship – with parliament’s blessing”. The Conversation. 2019. https://theconversation.com/egypt-hopes-for-democratic-future-die-as-al-sisi-marches-country-towards-dictatorship-with-parliaments-blessing-113491

57. „United Arab Republic“. ENCYCLOPEADIA BRITANNICA. 2014. https://www.britannica.com/place/United-Arab-Republic